# ალია



„გალფმა“ სოლიდარობის ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა

გალფი



N184/3114/ 16 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## რა ინფორმაციები მოიპოვა „ალიამ“ კრიმინალური პოლიციის უფროსების მასობრივ წასვლაზე

რატომ დატოვა თანამდებობა ივანიშვილის ახლობელმა უშიშროების უფროსმა?



## ვინ, სად და როდის აპირებს სააკაშვილის ფიტულის დაწვას?



## ინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები და რომელი ექსპერტები ქმნიან პარტიას?

ვის მფარველობაში ამხელს მამუკა არეშიძე კახა კალაძეს?



ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე:

## „გაგუას კლინიკაში ეს როგორ გააფორმეს, არ ვიცი. თავად მშობიარე მიყვება, რომ გამაყუჩებლის ქვეშ რაღაც დოკუმენტს მოაწერა ხელი“



ზაზა ხატიაშვილი: 

## „ოლიგარქის კლანმა ჩაიდინა საუკუნის უსინდისობა...“



რატომ ადანაშაულებს ზაზა ხატიაშვილი საყდრისის აფეთქებაში ივანიშვილს?

## რა ბრალდებებს უყენებენ ვეტერანები შიხიაშვილს და რას პასუხობთ ვეტერანების „შეფი“?





## რატომ არ აძლევენ „გაერთიანებული დემოკრატები ხმას თბილისის ბიუჯეტს

## როგორ მოხსნის თბილისში საცობებს „დაკიდებული“ ტრამვაი?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „დედამისსა და მას ეს ხრიკები არ გამოუვათ“



მოკლული ლაშა მახარაძის დედა ნინო დიდებულიძე შვილის მკვლელობის საქმეში ბრალდებული, გიორგი ოქროპირიძის განცხადებებს გამოეხმაურა.

მას ბრალდების სიზუსტეში ეჭვი არ ეპარება და მიიჩნევს, რომ ოქროპირიძე სამუდამო პატიმრობის შიშის გამო ცრუობს.

„მაგან მოკლა ჩემი შვილი და სხვას რატომ აბრალებენ. თავის თავის დაცვაშია და დედამისსა და მას არ გამოუვათ ეს ხრიკები“, – ამბობს დიდებულიძე. (ნიუპოსტი)

## კულტურის მინისტრისა და „საყდრისის მცველთა“ შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა




კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან „საყდრისის მცველთა“ სამსაათიანი შეხვედრა კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. „საყდრისის მცველების“ წარმომადგენლის, სალომე ჭანტურიძის განცხადებით:

„არაფერი გადაწყვეტილა. ვისაუბრეთ დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა არაფერზე შევთანხმებულვართ. ჩვენი პოზიცია გავაცანით მინისტრს. ვესაუბრეთ იმაზე, რომ წარმოედგინათ ის დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მოხდა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოება, თუმცა, მინისტრმა ვერანაირი საბუთი ვერ წარმოგვიდგინა და ანთიძის სტრუქტურაში გადაგვამისამართა“, – აღნიშნა ჭანტურიძემ.

მისივე ინფორმაციით, კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას სამუშაოების შეჩერების თაობაზე ვერ მიიღებს. „ჩვენ ამ ეტაპზე საყდრისში სამუშაოების შეჩერებას ვითხოვდით, თუმცა ეს გარანტია მინისტრისგან ვერ მივიღეთ. მინისტრის პოზიციით, ნებისმიერი ერთპიროვნული გადაწყვეტილება იქნება უკანონო. მიხეილ გიორგაძემ შეხვედრაზე გვითხრა, რომ ნებართვა გაიცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი კომისიის საფუძველზე. შესაბამისად, ჩვენ ვაპირებთ მივიდეთ სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ნიკოლოზ ანთიძესთან და გამოვითხოვოთ ის დოკუმენტები, რის საფუძველზეც სამუშაოების დაწყების ნებართვა გაიცა“, – აღნიშნა ჭანტურიძემ.

„საყდრისის მცველებისა“ და კულტურის მინისტრის შეხვედრის პარალელურად სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტმა თურქმენეთში ვიზიტი დაასრულა



საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი თურქმენეთში დასრულდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, გიორგი მარგველაშვილი აშხაბადში თურქმენ კოლეგას პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით შეხვდა და გურბანგული ბერდიმუჰამედოვი საქართველოში საპასუხო ვიზიტით მოიწვია. ქართულმა და თურქმენულმა მხარეებმა ერთობლივ დოკუმენტებსაც მოაწერეს ხელი და თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.

„ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი, რადგან ამით კიდევ უფრო განვამტკიცეთ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. მნიშვნელოვანი იყო ის ხედვა, რომელიც აქვს როგორც თურქმენეთის ხელმძღვანელობას, ისე საქართველოს, ხედვა, რომელიც ევრაზიის რეგიონში თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების პოტენციალს მოიცავს. ჩვენ ვილაპარაკოთ იმ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ფუნქციაზე, რომელიც აქვს საქართველოს, როგორც კასპიის ზღვის ქვეყნებისა და შავი ზღვის ქვეყნების დამაკავშირებელ ქვეყანას. ჩვენ დავინახეთ, რომ კასპიის რეგიონთან მიმართებაში ანალოგიური ხედვით გამოირჩევა თურქმენეთის ხელმძღვანელობაც, რომელიც ძალზე ინტენსიურად ავითარებს საკომუნიკაციო შესაძლებლობებს ქვეყანაში და კასპიის ზღვაზე. ამასთანავე, ხაზგასმით აღვნიშნეთ ის, რომ პატივს ვცემთ ერთმანეთის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ბუნებრივია, ამ ვიზიტით და იმ ოთხი ხელშეკრულებით, რომელსაც აქ მოეწერა ხელი, გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი და მივეცით კიდევ ერთი იმპულსი ქართულ-თურქმენულ ურთიერთობას. მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტი დასთანხმდა საქართველოში ჩამოსვლას“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ქუჩების სახელდების დროს პრიორიტეტი გამოჩენილი ქართველი ქალების სახელებს მიენიჭება



თბილისის საკრებულოსა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კავკასიის ბიუროს შორის ხვალ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მემორანდუმი ითვალისწინებს ქუჩების სახელდების დროს იმ გამოჩენილი ქართველი ქალების სახელებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, რომლებმაც ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, თუმცა საზოგადოებრივ მეხსიერებაში, ფაქტობრივად, დავიწყებულები არიან. როგორც საკრებულოში აცხადებენ, ზემოაღნიშნული პოლიტიკის შემუშავების მიზანი გენდერული თანასწორობის პრინციპების საზოგადოებრივ პოლიტიკაში გატარება და ურბანული დაგეგმარების გამჭვირვალობის ხელშეწყობაა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პარლამენტის საშემოდგომო სესია 19 დეკემბერს დაიხურება



პარლამენტის საშემოდგომო სესია 19 დეკემბერს ბიუროს ფორმატში დაიხურება. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, საშემოდგომო სესიის დახურვის მიზნით, მიმდინარე კვირას პარლამეტის რიგგარეშე სხდომა არ იქნება მოწვეული და სესია ბიუროს სხდომით დაიხურება.

რიგგარეშე სესიები კი მომავალ კვირას გაიმართება, სადაც დეპუტატები დეკემბრის ბოლომდე დარჩენილ დროში ინიცირებულ კანონპროექტებზე მუშაობას დაასრულებენ.

პარლამენტის რიგგარეშე სესიას პრეზიდენტი იწვევს. (ინტერპრესნიუსი)

## ვასიკო ოდიშვილმა „მაესტრო“ დატოვა?




„პირველი რადიოსთვის“ ცნობილი ხდება, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთმა სახემ და გადაცემა „ყოველდღიური აბები ვასიკო ოდიშვილისგან“ წამყვანმა არხი დატოვა. ინფორმაციის გადასამოწმებლად „პირველი რადიო“ ოდიშვილს დაუკავშირდა, თუმცა ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ „მაესტროს“ ერთ-ერთ მფლობელს და ოდიშვილის მეუღლეს. ეკა აკობიამ განაცხადა, რომ ის მეუღლის სამსახურთან დაკავშირებულ კითხვებს არ პასუხობს. აკობიას თქმით, ოდიშვილს „მაესტრო“ არ დაუტოვებია, თუმცა, მისივე განმარტებით, ახლა მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს და საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. აკობია არც იმას ადასტურებს, რომ არხი თავადაც დატოვა. (პირველი რადიო)

## ხორვატიის პარლამენტმა ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა



ხორვატიის რესპუბლიკის პარლამენტმა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პროცესის სრული დასრულებისთვის ხორვატიის პრეზიდენტის ხელმოწერაა საჭირო. ხორვატია ევროკავშირის წევრი მეათე სახელმწიფოა, რომელმაც ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. ხორვატიის გარდა, დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინეს რუმინეთმა, ბულგარეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, მალტამ, სლოვაკეთმა, ესტონეთმა, უნგრეთმა და შვედეთმა. დოკუმენტის რატიფიცირება ევროპარლამენტში 18 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი. (პირველი რადიო)

## „კაბინეტებიდან გამოვათრევთ და ვაიძულებთ, ასე მაინც დაკითხონ“



ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი პროკურატურაში სარჩელის შეტანას და იმ პირების დასჯას ითხოვს, ვინც, მისი თქმით, საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო გაანადგურა.

მისი თქმით, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რომ მსგავსი ვანდალიზმი აღარ განმეორდეს.

„კაბინეტებიდან გამოვათრევთ არჩილ კბილაშვილს, მიხეილ გიორგაძეს, ნიკოლოზ ანთიძეს, დავით ლორთქიფანიძეს, დავაგდებთ პროკურატურასთან და ვაიძულებთ, ასე მაინც დაკითხონ. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, რომ ხვალ კიდევ არ ჩაიდინონ მსგავსი ვანდალიზმი. ამ ბოლო დროს, ძალიან წაიგრძელეს ენები უწმინდესსა და ეკლესიაზე. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობდა ეს აქცია“, – განაცხადა მიქიაშვილმა. (ნიუპოსტი)

## შსს დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს

2014 წლის იანვარ-ნოემბერში განზრახ მკვლელობის 17 ფაქტია რეგისტრირებული.

2014 წლის ნოემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2232 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1473. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,99%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -15,1%.

2014 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 24368 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 16104 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66,09%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -16,43%. (ნიუპოსტი)

## სასაზღვრო პოლიციამ თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში მცხოვრები, 1990 წელს დაბადებული ვახტანგ ფ. და თბილისში მცხოვრები, 1971 წელს დაბადებული ინეზა დ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვადასხვა პირების დემოგრაფიული მონაცემების გამოყენებით, ელექტრონული განაცხადის შევსების გზით, თაღლითურად დაეუფლნენ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების კუთვნილ ფულად თანხებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



15 დეკემბერს „ნაციონალებმა“ მორიგი ინტრიგა შემოაგდეს. როგორც პარლამენტარი ირმა ნადირაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო, საქართველოს ყველა რეგიონში კრიმპოლის უფროსს გადადგომაზე პატაკი აქვს დაწერილი. უკვე მოხსნეს აჭარის სუს-ის უფროსი. მინდოდა, რომ თქვენც გცოდნოდათ“.

„ალიამ“ ნადირაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსთან, ნინო გიორგობიანთან გადაამოწმა. მისი თქმით, „ნაციონალები“ ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ, ეს ყველაფერი არის ტყუილი. ჩვენ ასევე გავესაუბრეთ კრიმინალური პოლიციის რამდენიმე ღალჩინოსნების განთავისუფლების შესახებ, მანამდეც არსებობდა კულუარული ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ცვლილებები ამით არ დამთავრდებოდა და ე.წ. წმენდა თუ გადაადგილებები აუცილებლად გაგრძელდებოდა. ამის შესახებ „ალიას“ ცოტა ხნის წინ „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბიც ესაუბრა. მისი თქმით, უახლოეს ხანში გაუშვებენ არა მხოლოდ რამდენიმე გუბერნატორსა და პოლიციის უფროსს, არამედ სუს-ის უფროსებსა და გამგებლებს. ეს ინფორმაცია თავად ბიძინა ივანიშვილსაც დაუდასტურებია, როცა ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების წლისთავზე მივიდა (14 დეკემბერს) მეუღლესთან ერთად. მართალია, ლაშა ამირეჯიბი არ ამხელს, დეტალურად რაზე ილაპარაკეს მან და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ვერ გეტყვი. ძალოვან სტრუქტურაზე რომ არის ლაპარაკი, ეს დანამდვილებით ვიცი. საერთოდ, აჭარაში ეს პიროვნება დადებითად ხასიათდება.

**— წარმოშობით ბათუმელია?**

– არა, თბილისელია. ჩემი ინფორმაციით, მას ახლო ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ ბატონ ბიძინას დეიდაშვილთან, უჩა მამაცაშვილთან, თავად ივანიშვილთანაც. თავის დროზე აქ იმიტომაც დანიშნეს, რომ ყოფილ პრემიერს სწორი ინფორმაცია ჰქონოდა.

**— მის ადგილზე ვის ნიშნავენ, ხომ არ არის ცნობილი?**

– არა, ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ, ალბათ, ადგილობრივ კადრს არ დანიშნავენ. აჭარაში ძალოვანი უწყებების არც ერთი პირველი პირი ადგილობრივი არ არის, გარდა ერ




იმასაც ნიშნავს, რომ უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიწმინდება პროვოკატორი „ნაციონალებისგან“. ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ მათ ყველაზე ადრე აქვთ მნიშვნელოვანი ინფორმაციები, ვიდრე სისტემის ზოგიერთ ხელმძღვანელს. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ვალერი მამაცაშვილს პირდაპირი კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილთან და საკმაო „დოსტუპიც“ ჰქონდა. ამიტომ არ გამ-

# რა ინფორმაციები მოიპოვა „ალიამ“ კრიმინალური პოლიციის უფროსების მასობრივ წასვლაზე

## რატომ დატოვა თანამდებობა ივანიშვილის ახლობელმა უშიშროების უფროსმა?

უფროსს რეგიონებში, მათ ამის შესახებ პირველად გაიგეს და ამტკიცებენ, რომ ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ, არავის მათთვის წასვლის თაობაზე განცხადებები არ დაუწერინებია.

და მაინც... უახლოეს წარსულს თუ გავიხსენებთ, პირველმა ირმა ნადირაშვილმა გვამცნო სუს-ის უფროსის, მალხაზ ჩიკვილაძის გადაყენების შესახებ და იქვე დასძინა: ველოდები, როდის დაწერს განცხადებას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი ზედელაშვილიო. ირმა ნადირაშვილს დიდხანს არ მოუწია ლოდინი, სულ რაღაც ერთ კვირაში ახდა მისი პროგნოზი არა მხოლოდ ზედელაშვილის თაობაზე, სხვა მაღალჩინოსნებთან დაკავშირებითაც. ვერ უარვყოფთ, ამ ადამიანს ან მაგარი საინფორმაციო წყაროები ჰყავს, ან კიდევ „ნაციონალები“ ისევ უსმენენ თანამდებობის პირებს. სხვათა შორის, სანამ ნადირაშვილი დაწერდა პოლიციის მაივანიშვილმა, მაგრამ იმას კი აღიარებს, რომ თვითონ ძალიან მოუწონა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები და ისიც დაჰპირდა, რომ ამით ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა და კინო ახლა იწყება.

**ვინ არის აჭარის სუს-ის უფროსი ვალერი მამაცაშვილი, რომლის გადაყენებასაც ირმა ნადირაშვილი წინასწარმეტყველებს? როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ის უჩა მამაცაშვილთან და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია და ახლა საუბარია მის დაწინაურებაზე:**

**— თამაზ, ვალერი მამაცაშვილს კონკრეტულად სად აწინაურებენ, ვიცით?**

– ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ თბილისში გადმოჰყავთ. როგორც კულუარულად მეუბნებიან, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, სად დანიშნავენ. შეიძლება მას ჩააბარონ თისა. ერთი პერიოდი იმდენად შორს წავიდნენ, რომ თბილისიდან პოლიციის სამმართველოს უფროსად ვალერიან თელია ჩამოგვიყვანეს, რომელიც რამდენიმე გახმაურებულ საქმეში იყო გაბმული. ბოლოს თვითონაც მიხვდნენ, რომ მისი აქ გაჩერება არ შეიძლებოდა და ქართლში გადაიყვანეს, მის ადგილზე დანიშნეს დავით თამაზაშვილი, ეს უკვე ადგილობრივად ითვლება, წარმოშობით ქობულეთელია. სხვათა შორის, აჭარაში, მდებარეობიდან გამომდინარე, სუს-ზე დიდი დატვირთვა მოდის, პოლიციის სამმართველოზე მეტიც კი. ვალერი მამაცაშვილი ახალგაზრდაა, დახლოებით 40 წლის იქნება. ამბობენ, რომ ადრეც ამ სისტემაში მუშაობდა. ეს ვიცი იმ ადამიანებისგან, რომლებიც ჩემი პრესმდივნობის დროს უშიშროებაში მუშაობდნენ, მათთან ახლაც მაქვს ურთიერთობა, მამაცაშვილი არ ყოფილა მწარე „ნაციონალი“. მისი გადმოყვანა თბილისში, ალბათ, ოვრიცხავ, მას ძალიან მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩააბარონ. თვითონ შიგნით, სისტემაში ახასიათებენ, როგორც პატიოსანსა და ზრდილობიანს. ეს ინფორმაცია რამდენიმე კუთხიდან გადავამოწმე, მაგრამ საერთო ფონსაც რომ გადავხედოთ, აქ სუს-ის ამბავში არ ყოფილა რაღაც ჩარევები და გახმაურებული საქმეები. შესაძლებელია, აჭარა მისთვის აღმოჩნდეს ტრამპლინი, მან გამოცდა კარგად ჩააბარა.

**— კონკრეტულად რა გამოცდა ჩააბარა?**

– აქ სუს-ი არ ერეოდა არჩევნებში, მე თვითონ ვიყავი დამკვირვებელი ბოლო არჩევნებში და საკუთარი თვალით ვნახე, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიცია უფრო აქტიურობდა, ვიდრე „სუსი“. მე ხშირად მაქვს ურთიერთობა ბიზნესმენებთან, ზოგი შინაურია და ხშირად ვეკითხები, უშიშროება ისევ თუ ავიწროებთ, ისევ თუ იბარებენ, ისინი მეუბნებიან, რომ მსგავსი არაფერი არსებობს. ადრე მოვიდოდნენ და პირდაპირ გვიცხადებდნენ, ამდენი უნდა მოიტანოთო. ერთი ახლობელი მყავს, ყოველწლიურად 200 ათასს ახდევინებდნენ და თან არ იცოდა, რისთვის და ვისთვის ახდევინებდნენ. ამ ყველაფერს აკეთებდა სუს-ი. ხშირად ლევან ვარშალომიძეს აღარც კი ეკითხებოდნენ, ისე აწერდნენ ფულებს. აბსოლუტურად ყველა ბანკი კონტროლდებოდა, ვისაც 5 ათას ლარზე მეტი ჰქონდა ბანკში, ყველას მონაცემები მიდიოდა უშიშროებაში. მერე იბარებდნენ და ემუქრებოდნენ, თუ იმას არ გააკეთებთ, რასაც ჩვენ გეტყვით, ამას გიზამთ და იმას გიზამთო. ვნახოთ, ალბათ, ამ დღეებში უფრო მეტი ინფორმაცია გამოჟონავს და მეტს გავიგებთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### პროკურატურა ძაძამიას განთავისუფლებაზე განცხადებას ავრცელებს



მთავარი პროკურატურა ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებული მიხეილ ძაძამიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებულ მიხეილ ძაძამიას აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გირაოთი შეეცვალა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებმა მ. ძაძამიამ და კ. ხარშილაძემ გამოიყენეს მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და აირჩიეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის მიერ საქმე სასამართლოში განსახილველად დროულად წარიმართა, ნაფიცი მსაჯულების შერჩევის რთული და ხანგრძლივი პროცესის დაწყების გამო ვერ მოხერხდა საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება.

ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დაწყებას მათი შერჩევის პროცედურა აჭიანურებს. როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, შერჩევის სხდომაზე ცხადდება კანდიდატთა 40%, რაც ძალზე მწირი რესურსია ობიექტურ მსაჯულთა შესარჩევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობით საჭირო რაოდენობის ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად სასამართლოს უხდება დამატებით არაერთი შერჩევის სხდომის ჩატარება, რაც დაკავშირებულია დროის დიდ დანახარჯებთან. ძაძამიასა და ხარშილაძის ბრალდების საქმე სასამართლოში არსებითად განსახილველად წარიმართა ჯერ კიდევ 2014 წლის 17 სექტემბერს, წინასასამართლო სხდომა გაიმართა 22 სექტემბერს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ სამი თვე გავიდა, დღეის მდგომარეობით სასამართლოს მიერ შერჩეულია მხოლოდ ერთი ნაფიცი მსაჯული, მაშინ როდესაც კიდევ ცამეტი მსაჯულია შესარჩევი. ხსენებულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმეზე იწურება ცხრათვიანი საპატიმრო ვადა, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულ ძაძამიას მიმართ გამოყენებული იქნა არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება გირაოს სახით.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესი გრძელდება, რის შემდეგაც დაიწყება საქმის არსებითი განხილვა. მ. ძაძამიას ბრალად ედება სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „საყდრისთან ბიძინა ივანიშვილს კერძო ფინანსური ინტერესები აქვს“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გივი თარგამაძის ინფორმაციით, საყდრისთან ბიძინა ივანიშვილს კერძო ფინანსური ინტერესები აქვს.

მისი თქმით, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შპს „RMG Gold“-ის ხელმძღვანელობის ქართულ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

„პირველი შემოტევა კომპანიამ ხუხაშვილ-ნაცვლიშვილის ტანდემისგან განიცადა, რომელიც ოქტომბრის შემდეგ ბიზნესებს ახალ მთავრობასთან ურთიერთობას „ულაგებდა“. საქართველოს პროკურორის მაშინდელმა პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დანიშნა კახა კობახიძე (მეტსახელად კოხა).

ცვლილებები ამით არ ამოწურულა. ფირმის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა დაიკავა ზაზა ბიბილაშვილმა, რომელიც ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კლანის წარმომადგენლის, შს მინისტრის პირველი მოადგილის გიორგი ზედელაშვილის ნათელ-მირონი იყო და წლების განმავლობაში თავადაც მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში (კუდ-ი, სუს-ი)“, – განაცხადა თარგამაძემ.

დეპუტატის ინფორმაციით, ამის შემდეგ „RMG Gold“-ის მმართველობაში გამოჩნდნენ ნიკა ქაჩირიშვილი და დავით ბალანჩივაძე. თარგამაძის თქმით, ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ტელევიზია „მე-9 არხის“ მენეჯმენტში მოღვაწეობდა.

„შეგვიძლია, თამამად ვისაუბროთ კომპანიაში უჩა მამაცაშვილის, ანუ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებზე. აღსანიშნავია, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხს მას შემდეგ მიუბრუნდა, რაც 2013 წლის 2 მაისს სამინისტროში შევიდა საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის რეზოლუცია, რომელიც სამინისტროს ავალებდა, განეხილა კომპანია „RMG Gold“-ის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი წერილი და მოეხდინა შესაბამისი რეაგირება. ამ ყოველივეს გათვალისწინებით გასაგები ხდება, ვის ინტერესებს ემსახურებოდა ის კანონდარღვევები, რომლებზეც ქვემოთ გვქონდა საუბარი“, – განაცხადა გივი თარგამაძემ. (ნიუპოსტი)

# რატომ არ აძლევენ „გაერთიანებული დემოკრატები" ხმას თბილისის ბიუჯეტს



**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა" 2015 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს. საკრებულოს წევრის თამარ ცინცაბაძის თქმით, შემუშავებული ბიუჯეტი მერიის მაღალჩინოსნების ფუფუნებაზე გათვლილი დოკუმენტია, სადაც „გაერთიანებული დემოკრატების" მოთხოვნები და შესწორებები გათვალისწინებული არაა.**

**კონკრეტულად რას აპროტესტებს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა"? მათი რა შენიშვნები არ გაითვალისწინეს საკრებულოში?**

„ალიას" **თამარ ცინცაბაძე** ესაუბრა:

– ჩვენ მიერ შეთავაზებული, არც ერთი რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი ყოფილიყო მორგებული ხალხის ინტერესებზე და ხალხს ეგრძნო, რომ 2015 წელი არის იმაზე უკეთესი, ვიდრე 2014 წელი იყო. ეს რომ ეგრძნო ხალხს, ამისთვის ვითხოვდით, რომ ბაგა-ბაგებს მიქცეოდათ მეტი ყურადღება.

**— ხომ აშენებენ ახალ ბაგა-ბაღებს?**

– კი ბატონო, აშენებენ, მაგრამ არც ესაა საკმარისი და 10 000-მდე ბავშვი კვლავ რჩება ბაგა-ბაღის მიღმა. გარდა ამისა, ჩვენ ვამბობდით, რომ ბაგა-ბაღები გადასულიყვნენ ორცვლიან დღეზე ხელფასის შენარჩუნებით, ან მომატებით, რადგან ძალიან რთულია აღმზრდელებისთვის მთელი დღის განმავლობაში 40 ბავშვთან მუშაობა. ანუ ჩვენ ვითხოვთ, გაუმჯობესდეს მათი სამუშაო პირობები და გაიზარდოს ხელფასი. ასევე, ვითხოვდით, რომ გაზრდილიყო მუზეუმებისთვის გამოყოფილი თანხები და გაზრდილიყო მუზეუმის თანამშრომელთა ანაზღაურება. ასევე ვითხოვდით, რომ ყურადღება მიქცეოდა ბიბლიოთეკებს, მათ განვითარებას და აუცილებლად გაზრდილიყო ბიბლიოთეკარების ხელფასები, რომელიც 200 ლარიც კი არ არის. ჩვენ, ასევე ვითხოვდით, განემარტათ და ბიუჯეტში ნათლად გამოჩენილიყო იმ უმწეოებისთვის, რომლებსაც აქვთ 70 000 ქულაზე მეტი, ისევ იმ პირობებში რჩებიან კომუნალური ვაუჩერიზაციის კუთხით, რა პირობებიც ჰქონდათ 2014 წელს, თუ უარესდება მათი პირობები. ასეთი განმარტება ბიუჯეტში არ არის გაკეთებული. ამასთანავე, ვითხოვდით, რომ ყურადღება მიქცეოდა მიწისქვეშა გადასასვლელებს, მათ შეკეთებას, რეკონსტრუქციასა და ახლის გაკეთებას. უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ, უბრალოდ, არ ჩაისვლება. ასევე, ვითხოვდით, რომ გამოყოფილიყო თანხები მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობისთვის, რაც „ქართული ოცნების" საარჩევნო დაპირებებშიც შედიოდა.

ჩვენი მოთხოვნა იყო კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის ნათლად გაწერილიყო ბიუჯეტში, ის 5 მილიონი როგორ კორპუსებში იხარჯება და საერთოდაც, ამ მიმართულებით უნდა გაზრდილიყო თანხები. ჩვენი სურვილი იყო, შექმნილიყო სპეციალური ფონდი, რომელიც უზრუნველყოფდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისა და ახალგაზრდა ოჯახებისთვის საბინაო პირობების გაუმჯობესებას. რეალურად, ახალგაზრდებს, თუ მათი მშობლები არ არიან შეძლებულები, არანაირი საშუალება არ აქვთ, რომ ოჯახები შექმნან.

**— ეს ყველაფერი ხომ გაზრდიდა ბიუჯეტს და იყო ამდენი ფული?**

– ჩვენ არ მოგვითხოვია ბიუჯეტის გაზრდა. თუ სამართლიანად მოხდებოდა თანხების გადანაწილება, მაშინ, რა თქმა უნდა, იქნებოდა იმის საშუალება, რომ ამ მიმართულებით საკითხები მოგვარებულიყო. მაგალითისთვის გეტყვით, მერიის მმართველობის ხარჯები, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 6%-ით. ახლა არის 59 მილიონით მეტი. ასევე, არის ასეთი სტრუქტურა, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური, რომელსაც „ქართული ოცნება" ოპოზიციაში ყოფნის დროს უწოდებდა უგულავას პოლიციას. ნაცვლად იმისა, რომ ეს სამსახური საერთოდ გაეუქმებინათ, ან ბიუჯეტი შეემცირებინათ, ბიუჯეტი თითქმის გაუორმაგეს და 6 მილიონამდეა გაზრდილი. ჩვენ ვითხოვდით, რომ გადახედილიყო რაიონების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტები, რატომ იცით? იმიტომ, რომ ერთი და იგივე მოცულობის საგზაო სამუშაოებზე სხვადასხვა რაიონი ითხოვდა სხვადასხვა თანხას. აქ აშკარა ეჭვი იყო, რომ რომელიღაც რაიონი არასწორად აკეთებდა გათვლებს. მოვითხოვეთ, ასევე, რომ მხატვრული განათების ხარჯები შემცირებულიყო. კი ბატონო, დარჩენილიყო ისეთ შენობებზე, სადაც აუცილებელია, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ეს ყველგან გაკეთდეს?! როცა ბაგა-ბაღების აღმზრდელთა ხელფასებს უკანა პლანზე აყენებ და მხატვრულ განათებას წინა პლანზე, ჩვენ ვთვლით, რომ არ არის ეს სწორი გადაწყვეტილება.

ესაა ჩვენი ის სურვილები და შენიშვნები, რაც ჩვენ გვინდოდა, რომ გაეთვალისწინებინათ, მაგრამ არ გაითვალისწინეს.

**რატომ არ გაითვალისწინეს საკრებულოში „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" შენიშვნები? „ალია" თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ჯაბა სამუშიას ესაუბრა:**

– იყო რამდენიმე ისეთი შენიშვნა, რომელთა გათვალისწინებაც პრინციპულად გამორიცხული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო, მსგავსი მიდგომები გვქონოდა რიგი საკითხებისადმი. მაგალითად, უწერიათ ასეთი შენიშვნა – მერიის ადმინისტრაციაში არაადეკვატურად დიდია მერიის ადმინისტრაციის ხარჯები. აქ, უბრალოდ, მარტივი არითმეტიკის გათვალისწინება მოხდა, იყო 225 თანამშრომელი და შესაბამისად, მათი ბიუჯეტი ამ 225 ადამიანზე გაიყო. ანაზღაურების მუხლში მთლიანად მერიის სისტემის წახალისების თანხებია. თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ მერიაში, გამგეობებში, წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ პრემია რომ გამოუწერონ, ეს თანხები მიდის მერიის ადმინისტრაციების ხარჯებიდან.

**— რატომ არ გადაიხედა საგზაო ხარჯები? როგორც ამბობენ, ყველა რაიონის მიერ წარმოდგენილი ხარჯები ერთმანეთისგან განსხვავებული იყო.**

– ამ თვალსაზრისით რაიონებს შორის არსებული განსხვავება უნდა დაარეგულიროს ტენდერებმა, ყველას თავისი მოთხოვნა აქვს და თავისთავად იქნება განსხვავებული, სხვადასხვა რელიეფი და ხარჯებიც სხვადასხვა იქნება საჭირო. ამ საკითხების დარეგულირება გზადაგზა მოხდება.

**— რას იტყვით უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თაობაზე, რომელსაც „ქართული ოცნება" ოპოზიციაში ყოფნის დროს უწოდებდა უგულავას პოლიციას. მისი ხარჯები, როგორც ამბობენ, გაორმაგებულია.**

– ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაიწყო, უნდა მოხდეს მისი რეფორმირება, ჩვენ გვინდა, რომ სრულიად ახალი, თანამედროვე სისტემა შეიქმნას. არის საკითხები, სადაც თანხვედრა გვაქვს, მაგრამ დროში უნდა მოხდეს მათი ცვლილება, თუმცა, ბევრი შენიშვნა იმიტომ არ იქნა გათვალისწინებული, რომ გაუგებრობის საფუძველზე იყო წარმოქმნილი და ჩვენ ამას განვუმარტავთ ჩვენს კოლეგებს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

# „გალფმა" სოლიდარობის ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა

13 დეკემბერს ნავთობკომპანია „გალფმა" სოლიდარობის ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა, რაც ფონდის ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას გულისხმობს.

„გალფის" მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ინიციატივით მათი ყოველთვიური ხელფასიდან მოხდება კონკრეტული თანხის მობილიზება, რომელიც სოლიდარობის ფონდში გადაირიცხება. ფონდის მიზანია საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით, საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ოჯახებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის უზრუნველყოფა და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა.

საწყის ეტაპზე ფონდი ორიენტირებულია ონკოლოგიური პაციენტების, უპირველესად კი ბავშვების ძვირადღირებული მკურნალობის ანაზღაურებაზე. აქციაში ჩართვა სრულიად ნებაყოფლობითია.

ნავთობკომპანია „გალფს" კარგად აქვს გათავისებული სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების სოციალურად დაუცველი წევრების მიმართ და ცდილობს, მათ მხარში დაუდგეს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დოლარის ფასმა 60 რუბლს გადააჭარბა




მოსკოვის ბირჟაზე გამართული ვაჭრობის შედეგად დოლარის კურსი ისტორიაში პირველად 60-იან ნიშნულს გადასცდა და მისმა ღირებულებამ 60,49 რუბლი შეადგინა. ამასთანავე, რეკორდი დაამყარა ევრომაც და მისმა ღირებულებამ 75,22 რუბლს მიაღწია.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა 16 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის მიმართ რუბლის ახალი კურსი დაადგინა და მისი მონაცემებით, 1 დოლარი 58,35 რუბლია, ხოლო 1 ევრო – 72,66. (ნიუპოსტი)

## ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი კურსი დაადგინა



საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა. 16 დეკემბერს 1 აშშ დოლარის შეძენა 1.84 ლარად იქნება შესაძლებელი. (ნიუპოსტი)

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.









# ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე: „გაგუას კლინიკაში ეს როგორ გააფორმეს, არ ვიცი. თავად მშობიარე მიყვება, რომ გამაყუჩებლის ქვეშ რაღაც დოკუმენტს მოაწერა ხელი“



ადვოკატ ზურაბ ჯორბენაძის განცხადებით, დავით გაგუას კლინიკა და კლინიკა „ინ ვიტ-რო“ ბავშვების ვაჭრობის საქმეში ღიად არიან ჩართული. „ამ ორმა კლინიკამ, ჩემი კლიენტის მეშვეობით „გააპრავა“ კანონის დარღვევით ბავშვის გაშვილება. მე ვერ გავასაჯაროებ ჩემი კლიენტის სახელსა და გვარს, მაგრამ მისი მეშვეობით მოხდა, ისეთი ადამიანის მშობიარედ გასაღება, რომელსაც არ უმშობიარია და შემდეგ მისთვის ბავშვის კანონის გვერდით ავლით გადაცემა. ჩემს კლიენტს მძიმე ეკონომიკური სიტუაცია ჰქონდა და თანხა აიღო, მაგრამ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ვთხოვ ხელისუფლებას, რომ დაინტერესდეს ამ საქმით. გამოსაძიებელია ეს საქმე, რადგან ეს ერთეული შემთხვევა არ არის. ამით ეს ორი კლინიკა დიდ მატერიალურ შემოსავალს იღებულობს.

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– ამ ადამიანს დავარქვათ პირობითად ნანა, ეს ადამიანი ჩემი კლიენტია და, ბუნებრივია, კლიენტის ინტერესიდან ვაკეთებ ამას. ჩემი გათქმა მას დააზარალებს, რადგან პირადი სახის ინფორმაციას გეუბნებით და ამის გავრცელება კონკრეტული სახელის თქმით არ შეიძლება. „გაგუას კლინიკისა“ და „ინ-ვიტრო კლინიკის“ დახმარებით, ერთმა პერსონამ ჩემი კლიენტისგან წინასწარი შეთანხმებით იყიდა ბავშვი, ეს არ იყო არც სუროგაცია. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ, როდესაც ჩემი კლიენტი, პირობითად, ნანა, შევიდა გაგუას კლინიკაში, იმავე დღეს, ამავე კლინიკაში დააწვინეს ის მეორე ქალბატონი, რომელიც ფეხმძიმე არ იყო, ანუ კლინიკაში მოხვდა ორი ადამიანი, ერთი ნამდვილი მშობიარე და მეორე – ვითომ მშობიარე. ნამდვილმა მშობიარემ გააჩინა რა ბავშვი, მეორეს დღეს კლინიკიდან დააპანლურეს, ხოლო მეორემ, ვითომ მშობიარემ, უკვე ბავშვთან ერთად დატოვა კლინიკა. ეს თუ კანონის დარღვევა არ არის, მეტი რა უნდა გითხრათ?

**— წინასწარი მოლაპარაკება მათ შორის ხომ იყო ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებით?**

– წინასწარი მოლაპარაკება გაფორმებულია, როგორც თანხის სესხება. ჩემს კლიენტს ჰქონდა ვალი, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო და ახლაც მძიმე მდგომარეობაშია, რადგანაც გამოსახლება ემუქრება, იპოთეკით აქვს თანხა ნასესხები. მაგრამ დრო გაიწელა და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ დღეს ის ქალბატონი, ვისთანაც ბავშვია, წინასწარ შეუთანხმდა „ნანას“ ბავშვის გადაცემაზე, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობა ამბობს სხვა რამეს. კანონმდებლობა ამბობს, რომ, თუ ხდება სუროგაცია, ეს უნდა იყოს აღრიცხული ჯანდაცვის სამინისტროში, სადაც შესაბამისი დეპარტამენტია და იქ აღირიცხებიან სუროგატი დედები, ამ შემთხვევაში კი მსგავსი რამ არ იყო. თუ არ არის სუროგატი დედა და დედა ოფიციალურად ამბობს უარს შვილზე, ამ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს უარის თქმის შესაბამისი დოკუმენტი და, თუ ეს უარის თქმა გაფორმდება, სოციალურმა ორგანომ უნდა ჩაიბაროს ბავშვი, წაიყვანოს თავშესაფარში და უკვე შემდეგ ხდება გაშვილება, როგორც უპატრონო ბავშვისა, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენს შემთხვევაში მოხდა ასეთი რამ, რომ ერთსა და იმავე საავადმყოფოში შევიდა ერთი მშობიარე და მეორე, ვითომ მშობიარე, საავადმყოფოში გაფორმდა, როგორც მშობიარე. გაგუას კლინიკაში ეს როგორ გააფორმეს, არ ვიცი. თავად მშობიარე მიყვება, რომ გამაყუჩებლის ქვეშ რაღაც დოკუმენტს მოაწერა ხელი, რომელიც არ ახსოვს და მეორე დღეს ის დააპანლურეს. ამ ამბავს ვახმოვანებ იმიტომ, რომ საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესია, როცა სამედიცინო კლინიკები ასეთ რამეს აკეთებენ. და კიდევ, სანამ ეს ქალბატონი იმშობიარებდა, მანამდე ეს ინფორმაცია მე მქონდა და ეს ყველაფერი უშიშროების სამსახურს ვუთხარი. მათ ეს მივაწოდე, როგორც საიდუმლო ინფორმაცია, რომ არ მომხდარიყო ასეთი შიდა გარიგება, რადგანაც, წინასწარ ვიცოდი ყველაფერი. ამ განცხადებიდან სამ დღეში უშიშროების სამსახურმა საქმე საიდუმლოდ კი არ გამოიძია, გამომძიებელმა განაცხადა, რომ რაც ხდებოდა, ყველაფერი კანონის ფარგლებში იყო და წერილი მომივიდა, რომ დანაშაულის კვალი არ იყო. ამ დროს, რაც წინასწარ განვაცხადე, ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი. აღმოჩნდა, რომ გაგუას კლინიკას ჰყავს ძალიან მაგარი მფარველები.

**— დასაწყისში ბრძანეთ, რომ ნამდვილ მშობიარეს, პირობითად „ნანას“, თქვენ თავიდანვე ჰყავდით აყვანილი, როგორც ადვოკატი.**

– ჩემმა კლიენტმა ნამდვილად გაყიდა თავისი შვილი, იყო წინასწარი შეთანხმება ამის შესახებ, მან იცოდა, უნდა გაეჩინა ბავშვი და უნდა გადაეცა მეორე ქალისთვის, მაგრამ ნორმალურია, რომ ასეთი წინასწარი შეთანხმებით ვილაცამ ვილაცას შვილი მიჰყიდოს? ეს ამბავი მოხდა ზუსტად ოცი დღის წინ. ეს „ნანა“ და მისი პრობლემები ექვსი თვეა, რაც ჩემს მხრებზე დევს, ჩემს გამოა, რომ ამ ოჯახს ჯერ კიდევ ბინიდან არ ასახლებენ.

**— ხომ არ იცით, რა თანხად გაიყიდა ბავშვი?**

– ზუსტად არ ვიცი. ის თანხა, რაც მას სჭირდებოდა, ჩემს კლიენტს წინასწარ ჰქონდა აღებული და სანამ ჩემთან მოვიდოდა, მანამდე იყო ეს ფული დახარჯული. როგორც ჩანს, ეს ჩემი კლიენტი მეორე მხარესთან რაღაც სხვა კავშირშიც არის, რაც ბიზნესსა და ფულს უკავშირდება. ეტყობა, ისინი მას რაღაცაში იყენებენ, მაგრამ ეს ჩემი აზრია. ანუ ამ ქალს ჯერ ამ გზით დაუახლოვდნენ... მე სწორედ ამიტომ დავუკავშირდი უშიშროებას, მაგრამ ისეთი მფარველები ჰყავთ, ეტყობა, რომ ძალიან ძლიერები არიან.

**— თქვენ გაგუასთან ერთად კლინიკა „ინ-ვიტროს“ ასახელებთ, რატომ? ის რა შუაშია?**

– მე ფაქტს ვასახელებ, რომ „ინ-ვიტროში“ გააფორმეს ეს ნაყოფი, ვითომ ხელოვნური, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეორე მხარე, ვინც ბავშვი წაიყვანა, განაცხადა, რომ ეს ყველაფერი საკმაოდ დიდი ფული დაუჯდათ. ჩემი ბოლო სიტყვა ის არის, რომ აქამდე მართლმსაჯულების არ მჯეროდა და არც მჯერა და ისეთ ფაქტს გადავაწყდი, რომ საერთოდ აღარაფრის არ მჯერა...

**კომენტარისთვის „ალია“ დავით გაგუას დაუკავშირდა:**

**— თუ შეიძლება მითხარით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ზურაბ ჯორბენაძის მიერ გაკეთებული განცხადება თქვენი კლინიკის შესახებ?**

– სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება, ცხოვრებაში არ გამომიყენებია რეპროდუქტიული მედიცინის ტექნოლოგიები, მე ვარ მეანგინეკოლოგი. ჩვენთან, ჩვენს კლინიკაში, არასოდეს გაშვილებულა ბავშვი. ჯორბენაძემ მიმართოს სამართალდამცავებს და მათ გამოიძიონ. მე კატეგორიულად უარვყოფ ასეთ ფაქტს.

**ამის შემდეგ კლინიკა „ინ-ვიტროს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს მაცაცო კევლიშვილს დავუკავშირდით: „რაც ეს ინფორმაცია გავრცელდა, ბატონ ზურაბს მას შემდეგ ვურეკავ, რათა გამეგო, ჩვენს კლინიკას ეხება ეს თუ სხვა „ინ-ვიტრო“ კლინიკებს, რომლებიც ჩვენსავე ეზოშია. ამ ადამიანს, სამწუხაროდ, ვერ დავუკავშირდი, შესაბამისად, თუ ჩვენ გვგულისხმობს, აქ ისეთი ბრალდებებია, რომ პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება და თუ ასე არ მოხდა, მაშინ ჩვენ ვაპირებთ, პირიქით, სარჩელის შეტანას“.**

**ბოლოს დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნინო გიორგობიანს: „საქმის კურსში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, თუ პიროვნება თვლის, რომ სამართალდამცველების მხრიდან რაიმე დარღვევას აქვს ადგილი, მაშინ მან უნდა მიმართოს გენინსპექციას“.**

»» თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კულტურის მინისტრი საყდრისში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება



კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის თქმით, საყდრისთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილება კანონის სრული დაცვით არის მიღებული.

„რამდენი თვეა მიმდინარეობს უკვე ეს პროცესი, ღიად და საჯაროდ. ალბათ, ყველაზე დიდი მიზეზი ამ მღელვარების არის, ერთი მხრივ, არასაკმარისი ჩართულობა საზოგადოების მხრიდან ამ პროცესში და მეორე მხრივ, მაინც გარკვეული მანიპულირება ხდება“. – განაცხადა გიორგაძემ. (ნიუპოსტი)

## „გლდანის ციხეში პატიმრების ცემა გრძელდება“



ფოთელი პატიმრის რუსლან გუგუნავას ოჯახის წევრები ხელისუფლებასა და უფლებადამცველებს დახმარებას სთხოვენ. მათი ინფორმაციით, გუგუნავა გლდანის ციხის თანამშრომლებმა სცემეს, რადგან მან სხვა პატიმრებზე ზეწოლის ფაქტები გაასაჯაროვა.

„გლდანის მერვე დაწესებულებაში პატიმრების ცემა გრძელდება, რაც ჩემმა ძმამ გააპროტესტა, რის გამო ის სცემეს ილია პინტურიამ, გიორგი ფიფიამ და სასჯელაღსრულების სხვა თანამშრომლებმა. ამის გამო რუსლან გუგუნავამ თვითდაზიანება მიიყენა. ასევე, მათი მხრიდან იყო მუქარა, რომ, თუ არ გაჩუმდებოდნენ მას დაემატებოდა სასჯელი. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლების დროულ რეაგირებას მოვითხოვ“, – აცხადებს გუგუნავას და. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ნაძვის მოჭრაზე ჯარიმები მკაცრდება



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ელგუჯა ხოკრიშვილის განცხადებით, წიწვოვანი ნარგავების უკანონო მოპოვებისა და რეალიზაციის აღკვეთის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საქართველოს მასშტაბით, უწყვეტ პრევენციულ ღონისძიებებს განახორციელებს.

სამინისტრო შეახსენებს მოსახლეობას, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 400 ლარამდე. თუ ქმედება დაცულ ტერიტორიებზე ხორციელდება, ჯარიმის ოდენობა 400-დან 500 ლარამდე იზრდება. კანონდარღვევა ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 600 ლარამდე.

გარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა, სამართალდამრღვევს დაეკისრება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. თუ ზიანის თანხა შეადგენს ან აღემატება 1000 ლარს, დგება პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნაძვის ხეების რეალიზაცია დასაშვებია, თუ ის მოპოვებულია სანერგეებში, პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთში ან იმპორტირებულია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რეალიზატორმა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთში მოპოვების შემთხვევაში – ცნობა, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები პრევენციულ ღონისძიებებს ე.წ. ცხელ წერტილებში სახელმწიფო ტყის ფონდის მიმდებარე ტერიტორიებსა და მისასვლელ გზებზე, ქალაქის შემოსასვლელებთან და დასახლებულ პუნქტებში, ასევე, საავტომობილო გზებზე განახორციელებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge






ლია იმ დეპუტატთა კორპუსით, რომელიც დღეს პარლამენტშია წარმოდგენილი. ეს არ ეხება მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებს. ახლა განვიხილოთ, აწყობს თუ არა ხელისუფლებას არჩევნების ჩატარება, მე ვთვლი, რომ ხელისუფლებას მაინცდამაინც არ უნდა აწყობდეს რიგგარეშე არჩევნები, რადგან მზად არ არის, არ შეუსრულებია თავისი დაპირებების დიდი ნაწილი, რაც მთავარია, ისეთი პერსპექტივები არ არის შექმნილი, რაც არჩევნების წინ ხალხს დაანახებს, რომ ხელისუფლებამ იმუშავა. ჯერჯერობით ხელისუფლებას მაინც აქვს ისეთი ელექტორალური რესურსი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ საპირწონედ გამოდგება. თუმცა ობიექტურად უნდა ითქვას, რომ გამოჩნდებიან სხვა პარტიებიც, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ და მანდატების გარკვეულ რაოდენობასაც ციონალურ მოძრაობასაც“. თუ ხელისუფლება აპირებს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას იმიტომ, რომ მსოფლიოს დაანახოს, „ნაც-მოძრაობას“ ელექტორალური რესურსი არა აქვს, მაშინ ეს გასაგებია, მაგრამ, თუ ატარებს იმიტომ, რომ ვიდრე ავტორიტეტი აქვს, მანამდე მოასწროს არჩევნების ჩატარება, რომ ისევ უმრავლესობით მოვიდეს, აბსოლუტურად სხვა საკითხია. ახლა ვილაპარაკოთ მესამე ძალაზე, რომელიც აუცილებლად გამოჩნდება. ეს ძალა შეეცდება, ერთი მხრივ, ახალი დაპირებებისა და მეორე მხრივ, ახალი კრიტიკის ფორმატის შექმნას და ეს იქნება ძალა, რომელიც დღეს საზოგადოებაში ცალ-ცალკე ჩანს, მაგრამ გაერთიანდებიან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ლევან ვასაძეც, მაგრამ მაინცდამაინც თავს ვერ დავდებ, რომ ის იქნება ლიდერი, არ არის გამორიცხწასვლით პენიტენციარულ სისტემაში, შეიცვლებოდა საზოგადოების მისდამი დამოკიდებულება, ჯერჯერობით ასე არ ხდება, ეტყობა, კახი კახიშვილი კარგად მუშაობს. გიდასტურებთ, რომ, თუ ასეთი ტიპის ადამიანებით მოხდება მესამე ძალის გაძლიერება, კონკრეტული გვარსახელების დასახელებას ნუ მომთხოვთ, კახი კახიშვილი ვახსენე იმიტომ, რომ თავად დაასახელეთ. ექსპერტებისა და ინდივიდუალურად მოთამაშე ადამიანთა რიცხვი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება ამ პოლიტიკურ ძალაში.

**— პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ზვიად ჯანყარაშვილის წასვლიდან საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ პარტიის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, აღმასრულებელი მდივნის კანდიდატურა პარტიისთვის და საზოგადოებისთვის წარედგინა. ხომ არ იცით, კულუარებში ვინ მოიაზრება?**

# ინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები და რომელი ექსპერტები ქმნიან პარტიას?

## ვის მფარველობაში ამხელს მამუკა არეშიძე კახა კალაძეს?

„ალიას“ ინფორმაციით, საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის“ მიერ გავრცელებული განცხადება, რომ ხელისუფლება ემზადება რიგგარეშე არჩევნებისთვის, სახელისუფლებო კულუარებში თითქმის დასტურდება, ხელისუფლება საგანგებო მუშაობის რეჟიმზეა გადასული, ეს ინფორმაცია არასაპარლამენტო პარტიებისთვისაც უკვე ცნობილია, ამიტომაც ისინი წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში ჩადგნენ. ბათუმში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მოწყობილი ღონისძიებაც სწორედ რიგგარეშე არჩევნების სამზადისის სტარტია. „ალიასთვის“ ასევე ცნობილი ხდება, რომ ხელისუფლებაში იქმნება ანალიტიკოსთა ჯგუფი. ვინაიდან ხელისუფლება სუსტია და მას აქვს ბევრი ჩავარდნა, ეს ჯგუფი უზრუნველყოფს პროექტების დადებას და ხელისუფლების ნაკლოვანებების გამოსწორებას. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ხელისუფლებას მონიტორინგსაც კი გაუწევენ და იზრუნებენ ხელისუფლების ეფექტურ მუშაობაზე.

**რატომ აფორიაქდნენ „ნაციონალები“? ინიშნება თუ არა რიგგარეშე არჩევნები და ვინ დარჩება ამით მოგებული? რა ხდება რეგიონებში? ვინ არის „მესამე ძალა“ და ვინ შეიყვანა კახა კალაძე ჩიხში?**

**„ალიას“ კითხვებს ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს:**

**— საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხელისუფლებამ გუბერნატორებსა და ადგილობრივ გამგეობებს დავალება მისცა და ისინი გადასული არიან რიგგარეშე არჩევნების სამზადისზე. „ნაციონალები“ ისტერიკაში არიან ჩავარდნილები, რადგან იციან, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში 40%-ს ველარ აიღებენ. რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

– მე ვნახე ეს განცხადება, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს არის ერთგვარი პრევენცია „ნაციონალების“ მხრიდან. მე ვარ გარდაბანში საკრებულოს დეპუტატი, ასეთი ბრძანება რეგიონებში რომ მოსულიყო, ამ ამბავს აუცილებლად გავიგებდი. თუ 9 გუბერნატორის დონეზეა ეს საკითხი გადაწყვეტილი, მაშინ მაგრად შეინახონ. ასე რომ, მე არ მგონია, ასე იყოს, ყოველ შემთხვევაში ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას აპირებს, ამ წუთში არ მაქვს. მოდით, ახლა განვიხილოთ ვარიანტი, თუ მართლა აპირებს ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას, რატომ აკეთებს ამას? არის ეს საზოგადოების დაკვეთა, თუ ხელისუფლების სურვილი, თავი გადაირჩინოს? მე მაინც მგონია, რომ ეს უფრო საზოგადოების დაკვეთაა, რადგან საზოგადოება განაწყენებული იმ დეპუტატთა კორპუსით...

აიღებენ.

**— „ოცნების“ რამდენიმე ლიდერი პრივატულ საუბრებში არ მალავს, რომ ისინი მოლოდინის რეჟიმში არიან, რამდენიმე თვეში პოლიტიკური სურათი აუცილებლად შეიცვლება და რიგგარეშე არჩევნებსაც არ გამოვრიცხავთო. მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებაზეც მიდის საუბარი და ამბობენ, რომ კახი კახიშვილის მსგავსი ფიგურებისგან შეიქმნება ახალი პოლიტიკური პარტია, რომელსაც სათავეში ლევან ვასაძე ჩაუდგება და სწორედ ის გახდება ბიძინა ივანიშვილის საპირწონე... ეს რეალურია?**

– ვიდრე ამ კითხვაზეც გიპასუხებთ, მე ვგულისხმობ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ჩანს, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ და ნინო ბურჯანაძის პარტია. ისინი თავის ასაღებს აუცილებლად აიღებენ, პროცენტებს შეგნებულად არ დავასახელებ და არც იმას ვამტკიცებ, რომ მათი მანდატი იქნება ბევრი, მაგრამ გარკვეული რაოდენობის ხმებს რომ აიღებენ, ეს აჩვენა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ეს კი არა, ვეტერანთა პარტიამ 9 დეპუტატი გაიყვანა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ხმების გადანაწილება უფრო ფართო მასშტაბით მოხდება. ეს ხმები კი დააკლდება „ქართულ ოცნებას“ და რასაკვირველია, „ნა-



**„მესამე ძალა აუცილებლად გამოჩნდება. ეს ძალა შეეცდება, ერთი მხრივ, ახალი დაპირებების და მეორე მხრივ, ახალი კრიტიკის ფორმატის შექმნას და ეს იქნება ძალა, რომელიც დღეს საზოგადოებაში ცალ-ცალკე ჩანს, მაგრამ გაერთიანდებიან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ლევან ვასაძეც, მაგრამ მაინცდამაინც თავს ვერ დავდებ, რომ ის იქნება ლიდერი, არ არის გამორიცხული, რომ ის იყოს ამ პარტიის წევრი“**

ული, რომ ის იყოს ამ პარტიის წევრი. რაც შეეხება კახი კახიშვილს, მის მსგავსად საზოგადოებაში პოპულარული არის რამდენიმე, კახის პირადად ვუთხარი კიდეც, რომ მისი

– ჯერჯერობით კანდიდატურა არ ჰყავთ, როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრი ამ კანდიდატურას ძალიან

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ მასწავლებელზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირი დააკავა




შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის საჯარო სკოლაში მომხდარ ყაჩაღობაში მონაწილე პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სოფელ მელაურის საჯარო სკოლაში მომხდარ ყაჩაღობის ფაქტზე, 1994 წელს დაბადებული, ამავე სოფლის მაცხოვრებელი ბადრი ლ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბადრი ლ. მიმდინარე წლის 15 დეკემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურში, სასწავლო პროცესის დროს, საჯარო სკოლაში ნიღბით შეიჭრა და ცივი იარაღის მუქარით სკოლის პედაგოგს ოქროს სამკაულები მოსთხოვა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბადრი ლ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „არსებობს საფრთხე, რომ სკოლებში უმართავი პროცესები დაიწყოს“



პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი სოლიდარობას უცხადებს 195-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს.

„195-ე სკოლაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რამდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მასწავლებლები, როდესაც ასეთი უკიდურესი საპროტესტო ფორმა აირჩიეს. ამავდროულად, ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სინამდვილეში სასწავლო პროცესების ხელშემშლის საფუძვლები სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშია. თამარ სანიკიძისა და მისი დამქაშების დაუფარავმა და სახელმწიფო რანგში აყვანილმა ნეპოტიზმმა და ამ გზით დანიშნულმა დირექტორებმა ასეთ სიტუაციამდე მიიყვანეს საგანმანათლებლო დაწესებულებები და არსებობს დიდი საფრთხე, რომ მრავალ საჯარო სკოლაში დაიწყოს მსგავსი უმართავი პროცესები. ამ სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს: ბათილად უნდა გამოცხადდეს საჯარო სკოლების დირექტორთა კონკურსის შედეგები და თანამდებობა უნდა დატოვოს ნეპოტიზმის მთავარმა საფუძველმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. მივმართავთ მთავრობას, მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილებები, რათა მოხდეს საპროტესტო აქტივობების ლოკალიზაცია“, – ნათქვამია ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ვიწრო წრეში იხილავს, რომელიმე დეპუტატის აღმასრულებელი მდივნის პოსტზე დანიშვნა იქნება კონტრპროდუქტიული, რადგან არც ჰყავთ მათ ბევრი ლიდერი, ვინც ამ საქმეს წარუძღვება, ხოლო ვისაც ავტორიტეტი აქვს და რაღაცას წარმოადგენს, ისეა დატვირთული, რომ ნამდვილად ვერ გაუძღვება ამ საქმეს. კახი კალაძე ისეთი დატვირთული იყო, რომ აღმასრულებელი მდივნის ფუნქციის თავის თავზე აღება ძალიან გაუჭირდა...

**— კახი კალაძესთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემები არსებობს და ამბობენ, რომ ივანიშვილის შემდგომი სამიზნე სწორედ ის იქნება. მე მესმის, სუბიექტური მიზეზის გამო შეიძლება ბევრი ვერაფერი თქვათ, რადგან მისი მეუღლე, ქალბატონი არეშიძე თქვენი ახლობელია და მაინც, გამორიცხავთ, რომ კალაძის კლანზეც მიიტანოს იერიში ივანიშვილმა?**

– მიუხედავად იმისა, რომ კახი კალაძის მიმართ მე მართლაც სუბიექტური დამოკიდებულება მაქვს, ჩემთვის ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მეც გამიგია ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. ვთვლი, რომ ზოგიერთმა ადამიანმა კახი კალაძე შეიყვანა მძიმე ჩიხში, მასთან ფსევდოპარტნიორობით, თუ ფსევდომეგობრობით. არ მინდა ამაზე მეტი ვთქვა, მაგრამ ვიცი, ვისთანაც კახი კალაძე მეგობრობს, ამათი ნდობა ერთ ნაბიჯზე არ შეიძლება. მათ მიერ წამოწყებული ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ორიენტირებული იყო საკუთარი ჯიბის გასქელებაზე და არა, ქვეყნის კეთილდღეობაზე...

**— „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, სათაურით „ივანიშვილის შემდეგი სამიზნე ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე იქნება!“ ენერგეტიკის სამინისტროდან რეაქცია მოჰყვა და მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ „ნაციონალების“ ყოფილი მინისტრი ხეთაგური ძალიან ხშირად ჩნდება ენერგეტიკის სამინისტროში და ის სტუმრობს კახი კალაძეს. მეტიც, ხეთაგურის ცოლი ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელია და სამინისტრო კალაძემ „ნაციონალებით“ გაძეძგაო...**

– ეს თუ მართალია, როგორ შეიძლება? ჩვენ ხშირად ვსაყვედურობდით სხვადასხვა სამინისტროს ხელმძღვანელებს ამ თემაზე, შეგახსენებთ, როცა კახი მივიდა სამინისტროში, არც ერთი მოადგილე არ შეუცვლია, იქ იყო ხალხი, რომლებსაც სულ მცირე „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მაქინაციებში აქვს მიღებული მონაწილეობა და ის მოადგილე ადგილზე დარჩა. ის ხელმძღვანელი პირებიც კი ადგილზე არიან, ვისაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაშინდელი ენერგოსისტემის ამორალურ ქმედებებში.

**— როგორ ფიქრობთ, კახი კალაძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს წამოიწყებს? როგორც ინფორაციები ვრცელდება, ის ემზადება დამოუკიდებელი თამაშისთვის.**

– არ მგონია, ზოგიერთს კი ჰგონია, რომ კალაძე მარტივი ადამიანია, მაგრამ ეს ასე არ არის, კახი კალაძე ერთადერთ შემთხვევაში წამოიწყებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს, თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აღარ იქნება. ვიდრე ბიძინა ივანიშვილი საქართველოშია და მისი პარტიის წევრად ითვლება, ის არავითარ შემთხვევაში არ წავა „ქართული ოცნებიდან“.

**— „ნაციონალი“ ირმა ნადირაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ყველა რეგიონში კრიმინალური პოლიციის უფროსმა გადადგომასთან დაკავშირებით განცხადება დაწერა. უცნაურია, რომ ნადირაშვილის ინფორმაციები ხშირად მართლდება, თანაც ხდება კაზუსი, როცა ოფიციალური პირები ინფორმაციას არ ადასტურებენ და ამ დროს, პარალელურ რეჟიმში განთავისუფლების შესახებ ჩინოვნიკები განცხადებას წერენ. რასთან გვაქვს საქმე?**

– საქმე გვაქვს მეხუთე კოლონასთან, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრიდან პრაქტიკულად ასე ხდება, ინფორმაცია კი არ ჟონავს სამთავრობო და ძალოვანი სტრუქტურებიდან, არამედ ინფორმაცია ზღვა ნაკადით გაედინება, მოსმენებზე რომ იყო ამისთანა ამბავი ატეხილი, მეცინებოდა, პრაქტიკულად, ჩვეულებრივი ადამიანისთვის აღარ არის პრობლემა, სახელმწიფო საიდუმლო გაიგოს. თუ სახელმწიფო საიდუმლო შეიძლება გაიგოს საშუალო გაქანების ადამიანმა, რატომ არ შეიძლება გაიგოს ასეთი მარტივი ინფორმაცია? „ნაციონალებს“ ჰყავთ ინფორმატორთა მთელი გუნდი, შს სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, ჯანდაცვის სამინისტროში. ირმა ნადირაშვილი ამას არ უნდა ლაპარაკობდეს, თორემ იქ რაც ხდება, თავისთავად არის სამარცხვინო ამბავი, გაუთავებელი გადაყენებები, თვეზე მეტი არ არის გასული, რომ ტოვებენ თანამდებობას. კომიკური სიტუაცია შეიქმნა ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის შემთხვევაშიც, ის მხოლოდ 14 დღე იყო მოადგილე. იცით, ამასობაში რა მოასწრო? საკუთარი კაბინეტის გარემონტება. აბა, თუ გამოიცნობთ, ვის კაბინეტში იჯდა? მინისტრი შავლიაშვილი არ დაჯდა მისი წინამორბედის, დავით ნარმანიას კაბინეტში, კოპაძე კი შევიდა ნარმანიას კაბინეტში, მაგრამ რემონტი დაუწუნა ნარმანიას, იქაურობა გაარემონტა და მოხსნეს კიდეც. რაც შეეხება კრიმინალური პოლიციის უფროსების გადადგომის საკითხს, ვიცი, რომ რამდენიმე მათგანის მიმართ არსებობდა პრეტენზიები, მაგრამ, თუ ყველა გადააყენეს, ეს ნამდვილად არ ვიცი.

**— როგორ ფიქრობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო წმენდა დასრულდება თუ არა მინისტრ ჭიკაიძის გადაყენებით?**

– საქმე ის არის, რომ შსს ძალიან დასუსტდა, ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, შეადგინონ ახალი ვერტიკალი, სადაც, ბუნებრივია, იქნება ახალი ხალხი, ხოლო ამ ახალი ხელმძღვანელობის ვერტიკალში იქნება თუ არა ჭიკაიძე, ამ საკითხში ეჭვი მეპარება. მე მაინც ვვარაუდობ, რომ ეს მოხდება გაზაფხულზე, ეს ყველაფერი კი მაინც მიბმულია თქვენს მთავარ თემასთან – რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებთან. თუ გადაწყვიტეს, რომ დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, მაშინ უფრო დიდი ალბათობაა, შეიცვალოს შინაგან საქმეთა მინისტრი.



**„ეტყობა, კახი კახიშვილი კარგად მუშაობს. გიდასტურებთ, რომ, თუ ასეთი ტიპის ადამიანებით მოხდება მესამე ძალის გაძლიერება, კონკრეტული გვარ-სახელების დასახელებას ნუ მომთხოვთ, კახი კახიშვილი ვახსენე იმიტომ, რომ თავად დაასახელეთ. ექსპერტებისა და ინდივიდუალურად მოთამაშე ადამიანთა რიცხვი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება ამ პოლიტიკურ ძალაში“**



**„ზოგიერთმა ადამიანმა კახი კალაძე შეიყვანა მძიმე ჩიხში, მასთან ფსევდოპარტნიორობით, თუ ფსევდომეგობრობით. არ მინდა ამაზე მეტი ვთქვა, მაგრამ ვიცი, ვისთანაც კახი კალაძე მეგობრობს, ამათი ნდობა ერთ ნაბიჯზე არ შეიძლება. მათ მიერ წამოწყებული ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ორიენტირებული იყო საკუთარი ჯიბის გასქელებაზე და არა, ქვეყნის კეთილდღეობაზე...“**

**„ალია“ უმრავლესობის წევრს და ვიცე-სპიკერს მანანა კობახიძეს ესაუბრა, რამდენად შესაძლებელია ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და ემზადებიან თუ არა ისინი ამისთვის?**

კობახიძის განცხადებით, რიგგარეშე არჩევნებზე მისთვის ცნობილი არაფერია, რომ თუმცა შეგიძლიათ, ჰიპოთეზურ დონეზე ეს თემა განიხილოთო.

**რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, როგორც გიორგი ახვლედიანმა „ალიას“ განუცხადა, ისინი ემხრობიან რიგგარეშე არჩევნებს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცვალოს.**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველო არც სვაზილენდის სამეფოა და არც სახას რესპუბლიკა“



პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კილურაძე არ ეთანხმება აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციას, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტი დაჩქარებული წესით უნდა განიხილოს.

კილურაძის თქმით, მსგავსი საკითხების განხილვა „ფაცი-ფუცით არ უნდა მოხდეს“.

„ინიციატივა ეხება ქართულ უნივერსიტეტებში სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საბაკალავრო პროგრამების დანერგვას. მაინტერესებს, გაიარეს თუ არა ამ საბაკალავრო პროგრამებმა ექსპერტიზა საქართველოში?! საქმის ასე ზერელედ გაკეთება არ შეიძლება. საქართველო არც სვაზილენდის სამეფოა და არც სახას რესპუბლიკა, რომ უცხოეთიდან რაღაც პროგრამას გამოგზავნიან და თქვა, ეს საერთაშორისო სტანდარტებისაა“, – განაცხადა ივანე კილურაძემ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის დარგებში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი კომისიაში ჩართვას ითხოვს



სახალხო დამცველი სოფელ მოხეში მდებარე სადავო შენობასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიაში დამკვირვებლის სტატუსით ჩართვას ითხოვს.

„ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში მდებარე სადავო ნაგებობის საკითხის ყოველმხრივი და ობიექტური განხილვა დიდი საჯარო ინტერესის სფეროს განეკუთვნება და ამ საკითხის შესწავლა თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ტოლერანტობის დაცვის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველი, კონსტიტუციური მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთოს სადავო შენობასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის საქმიანობაში.

მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2014 წლის 9 დეკემბრის წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 2 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სოფელ მოხეში მდებარე შენობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. წერილის მიხედვით, კომისიის წევრები ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მუსლიმანი და მართლმადიდებელი თემის წარმომადგენლები არიან, ხოლო კომისიას, სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ხელმძღვანელობს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კომისიის მუშაობაში სახალხო დამცველის დამკვირვებლის სტატუსით ჩაბმა გაზრდის კომისიისადმი საზოგადოებრივ ნდობას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში სადავო შენობასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# როგორ მოხსნის თბილისში საცობებს „დაკიდებული“ ტრამვაი?

ვებგვერდ yunitskiy.com-ის ინფორმაციით, თბილისში სატრანსპორტო მოძრაობა შესაძლოა, „დაკიდებული“ ტრანსპორტის საშუალებით განიტვირთოს და მერია ამ შესაძლებლობას განიხილავს.

„თბილისში მრავალსაათიანი საცობები სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. პირველ რიგში, ესაა ქალაქის სპეციფიკური ლანდშაფტი და სტრუქტურა: მთიანი რელიეფი, ვიწრო ქუჩები და სხვა. მეორე მხრივ, ქალაქში უამრავი ტურისტი ჩადის და ეს პროცესი სულ უფრო აქტიური ხდება. გარდა ამისა, გადატვირთული მოძრაობის შედეგად ქალაქში გამონაბოლქვის მხრივ არსებული მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. სწორედ ამ ფაქტორებთან დაკავშირებით დადგა ახალი საქალაქო ტრანსპორტის დანერგვის საკითხი. რომელიც, ერთი მხრივ, თბილისის ცენტრს განტვირთავდა ეკოლოგიისთვის ზიანის მიყენების გარეშე.



**რამდენად შეეფერება ინფორმაცია სიმართლეს? ვინ არის პროექტის ავტორი და განხორციელებადია თუ არა?**

**„ალია“ საკრებულოს დეპუტატს, შალვა ოგბაიძეს ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, რამდენად რეალურია ის ინფორმაცია? საკრებულო ინფორმირებულია ამ საკითხზე?**

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თბილისში იგეგმება ეს პროექტი, მაგრამ საკრებულოში ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა. კომპანია skyway-ის ხელმძღვანელია ანატოლი ედუარდის ძე იუნიცკი, მოძიებული ინფორმაციებით, არის ბელორუსის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული გამომგონებელი, ამავდროულად, მეწარმე. ეს ადამიანი ამბობს, რომ უნდა, შექმნას გარკვეული კონცეფცია, ეს პროექტი რუსეთის წინა პრეზიდენტს, მედვედევს წარუდგინა, რომ უნდა გაკეთდეს ბაგირზე ჩამოკიდებული, მეორე სართულის ტრანსპორტი, საჰაერო ტრამვაი. ეს ინფორმაცია მის მიერვეა გავრცელებული და მისავე ვებგვერდზე არის თბილისის ქუჩების ფოტომონტაჟი. მე გიპასუხებთ საკრებულოს სახელით, რომ ასეთი რამ თბილისში არ განხილულა და არც უახლოეს მომავალში ვაპირებთ განხილვას. უმეტესწილად ეს არის ფინანსური აფიორა, ვიღაცების ხელის მოთბობის საშუალება, ფულის გამოძალვის საშუალება.

**— ანუ თუ იქნება განხილვა, თქვენ არ იქნებით მომხრე? საცობებისგან განტვირთვის კარგი საშუალებააო. გჯერათ, როპ ამით საცობებს მოევლება?**

– გულწრფელად გეტყვით, ჯერ ვერ ვხედავ, თუ ვინმეს აქვს ხედვა, საცობებისგან ქალაქის განტვირთვის. მომავალ წელს ასი ახალი ავტობუსის თანხა არ არის გათვალისწინებული, ვერ ვხედავ ჯგუფს, რომელიც ლოკალური პრობლემის მოგვარებისთვის იზრუნებს. კარგია, რომ პუშკინის ქუჩაზე ესტაკადა გაკეთდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როგორც ამ საქმის მცოდნემ, შემიძლია, პუნქტებად ჩამოვაყალიბო ჩემი ხედვა, მაგრამ ჩემი ხედვა დარჩება ხედვად, თუ არავინ გაიზიარებს.

რამდენიმე ნაცნობმა პატრულმა მითხრა, იმდენად არიან დაკავებულები უკვე ამ გზების განტვირთვით, რომ მათ კვადრატში კრიმინალის შესახებ რეაგირებას ვერ წვდებიან, რადგან ყურადღება სხვა მიმართულებით აქვთ გადატანილი. სასწრაფოდ უნდა დაიდოს ქალაქის გენგეგმა, მალალი ლეგიტიმაციის საბჭო უნდა შეიქმნას პროფესიონალებისგან. საცობები მხოლოდ გზა არაა, ეს არის ქუჩების დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა, ქუჩების მონიშვნა, საგზაო ნიშნები და ა.შ. ამიტომ ამ საჰაერო ტრამვაის შესახებ ფუჭი იმედები, მოტყუება იქნება. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი დედაქალაქი საავტომობილო ჯუნგლებად გადაიქცევა. შორს არაა ეს დრო. როგორც კი გაწვიმდება, თბილისი პარალიზებულია. პატარა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებისგან დაწყებული, დამთავრებული ურბანული განვითარების გენგეგმით, სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, მერიაში ამის გამკეთებელს ჯერ ვერ ვხედავ.

**— საცობების მოხსნის გეგმასა და სწრაფი რეაგირების სამსახურის შექმნას სთავაზობდით საკრებულოს. რა ბედი ეწია ამ საკითხს, გიჭერენ მხარს?**

– ჯერ გაურკვეველია, რა გადაწყდება.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კათოლიკოს-პატრიარქმა ვატიკანის დელეგაციას უმასპინძლა



პატრიარქმა ილია მეორემ თბილისში ვიზიტად მყოფ ვატიკანის დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრაზე საუბარი ორმხრივ ურთიერთობებსა და მეგობრობას შეეხო. რომის პაპის წარმომადგენელმა, კარდინალმა კურტ კოხმა ილია მეორეს თბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა. დელეგაციამ ვიზიტისას ქართული ეკლესია-მონასტრებიც მოინახულა.

პატრიარქის თქმით, ეს შეხვედრა საუკუნოვანი ურთიერთობის გაგრძელებაა: „ეს არის გაგრძელება იმ ტრადიციული და ისტორიული ურთიერთობისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ვატიკანსა და საქართველოს ეკლესიას შორის. ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას დიალოგებში რომის კათოლიკეებთან. კარგი შედეგი აქვს ამ შეხვედრებს“, – აღნიშნა ილია მეორემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მართვის მოწმობის აღების მსურველები გამოცდას 3D ბილეთებით ჩააბარებენ




მართვის მოწმობის აღების მსურველები გამოცდას ახალი 3D ბილეთებით ჩააბარებენ. შსს-ს მომსახურების სააგენტო უარყოფს ინფორმაცას, თითქოს ახალი ბილეთები გართულებულია.

„გავრცელებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ბილეთები გართულებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. რადგან ახალ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის ამსახველი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტოვიდეომასალა. ამასთანავე, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა“, – ნათქვამია მომსახურების სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ბიძინა ივანიშვილს ყოფილი მეუღლე სასამართლოში უჩივის



რუსეთის მოქალაქე, ახალ ზელანდიაში მცხოვრები ინგა პავლოვა საქართველოს ექსპრემიერს ბიძინა ივანიშვილს უჩივის.

აღნიშნულთან დაკავშირებით პავლოვა youtube-ზე ვიდეოს ავრცელებს, სადაც საკუთარ თავს ივანიშვილის პირველ მეუღლედ მოიხსენიებს. ის ივანიშვილზე, მასთან ურთიერთობასა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საუბრობს. პავლოვა ექსპრემიერს მისი პირადი დოკუმენტების უკანონო და ანგარების მიზნით გამოყენებისთვის სასამართლოში უჩივის და კომპენსაციას სთხოვს.

„ხედავთ, როგორი გენიალური ყოფილი ქმარი მყავს, რუსეთში რაღაც ფანტასტიკური მეთოდებით მოახერხა 5 მილიარდზე მეტის შოვნა, გამშორდა მე, ისე, რომ არაფერი გადამიხადა, მოვიდა ხელისუფლებაში საქართველოში და ხელისუფლებას თავისი სახლიდან აკონტროლებს. ეგონათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელგაშლილია, მაგრამ მას ყველა მონეტა დათვლილი აქვს“, – ამბობს პავლოვა. (ნიუპოსტი)

# ზაზა ხატიაშვილი: „ოლიგარქის კლანმა ჩაიდინა საუკუნის უსინდისობა...“



## რატომ ადანაშაულებს ზაზა ხატიაშვილი საყდრისის აფეთქებაში ივანიშვილს?

**„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი, საყდრისში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა:**

„ოლიგარქის კლანმა ჩაიდინა საუკუნის უსინდისობა და ოქროს საწმისის ეპოქის შეუფასებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, საყდრისის, აფეთქების ლიცენზია გასცა. ბევრი იბრძოლა ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწე ნინო მიქიაშვილმა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მას მხარი არავინ აუბით და საყდრისი ვანდალურად ააფეთქეს. ახლა გამოხტებიან ბიძინასგან დაფინანსებული მონები და დაიწყებენ ოლიგარქის გამართლებას, მაგრამ საქართველომ დაინახა ოლიგარქის ნამდვილე სახე, რომელსაც ნამდვილი ქართველის ცნობიერებიდან ვერავინ ამოშლის. სამარცხვინოა, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აფეთქების დროს იქ იმყოფებოდნენ პოლიციისა და უშიშროების ადგილობრივი ხელმძღვანელები, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს იცავდნენ, კერძო კომპანიის ინტერესებს ლობირებდნენ. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მათი სახე და თურმე სამართალდამცავებს, ღარიბაშვილის განცხადებებით, აქვთ დიდი ნდობა, რაც, დამეთანხმებით, ანომალიაა. ალბათ, ოლიგარქი ივანიშვილი თავის პირველ ჟურნალისტურ გადაცემას საყდრისის აფეთქებას მიუძღვნის, მას ხომ ყველაფრის სხვა პირებზე გადაბრალება ეხერხება“.

**რა ფაქტებს ეყრდნობოდა „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, როცა აღნიშნულ განცხადებას აკეთებდა? შეუძლია თუ არა მისივე ნათქვამის დოკუმენტურად დადასტურება?**

**„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– მე, ჩემი განცხადებით, მოვახდინე ფაქტების კონსტატაცია. დაუკვირდით, რას ამბობს ბიძინა ივანიშვილი საჯარო გამოსვლებისას, ჩვენ კარგად დავინახეთ, რომ რეალურად, ივანიშვილი მართავს ქვეყანაში პროცესებს. ამის პარალელურად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გამოდის და გამოსცემს ნორმატიულ აქტს, რომლის მიხედვითაც საყდრისში ხდება ვანდალური აფეთქება და კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, ამ დროს ივანიშვილი არის რეალური მმართველი, მართავს ქვეყანას და ბუნებრივია, მთელი ბრალეულობა ამ ადამიანისკენ მიდის.

**— ანუ მის ბრალეულობას ხედავთ იმაში, რომ ის არ ჩაერია ამ საკითხის აღკვეთაში?**

– არჩარევა კი არა, ივანიშვილის გარეშე, ასეთ გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ მიიღებდა. აქ საუბარია ფინანსურად საკმაოდ ძლიერ ობიექტზე. ამიტომ ის, რომ შენ ხალხმა აგირჩია და არ ერევი და გარბიხარ, ეს არის დანაშაული. მინისტრი ამ გადაწყვეტილებას ისე ვერ მიიღებდა, თუ ბიძინა ივანიშვილთან არ იქნებოდა შეთანხმებული.

**— რამე ინტერესი აქვს ივანიშვილს ამ ობიექტთან მიმართებაში? რა ინფორმაცია გაქვთ?**

– არ ვიცი, რა ინტერესი აქვს, მე ღარიბაშვილი არ ვარ, რომ ისეთი განცხადება გავაკეთო, მერე გაეროს ან ეუთოს დასკვნაში მოვხვდე. მე ვარ ზაზა ხატიაშვილი და ამ საკითხზე ვფიქრობ ასე. თუმცა, რაღაც ინტერესი რომ აქვს, ეს ფაქტია.

**„ალია“ კომპანია „არ-ემ-ჯი გოლდის“ პრესსამსახურს ნატალია ნოზაძეს დაუკავშირდა. მისი თქმით, „კომპანიაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ“.**

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80



# რა ბრალდებებს უყენებენ ვეტერანები შიხიაშვილს და რას პასუხობთ ვეტერანების „შეფი“?

„მებრძოლ პატრიოტთა კავშირის“ ლიდერი ემზარ ქვარიანი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს. მისი თქმით, ვეტერანებისთვის ჰქონდათ საბჭო, რომლის მოქმედებაც წინა ხელისუფლებამ შეაჩერა: „მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ ჩვენი ჯგუფი მიგვიღოს. პირობას გაძლევთ, რომ, თუ ეს საბჭო აღდგება, ვეტერანთა საქმეების სამსახურში შიხიაშვილის მსგავსი კადრები ველარ დაინიშნებიან. ჩვენ ვეტერანებთან შეხვედრები გვაქვს და მათი 90% შიხიაშვილის დანიშვნას ეწინააღმდეგება“, – ამბობს ქვარიანი.

**რის თქმას აპირებს ქვარიანი ივანიშვილისთვის? რა პრეტენზიები აქვს ირაკლი შიხიაშვილთან? რას არ პატიობს ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსს? რას პასუხობს ბრალდებებზე შიხიაშვილი?**

**„ალიას“ ემზარ ქვარიანი ესაუბრა:**

**— ბატონო ემზარ, კონკრეტულად რაში გამოიხატება თქვენი პრეტენზიები ირაკლი შიხიაშვილის მიმართ?**

– როცა ვეტერანთა დეპარტამენტში მივიდა, ათი კაცი მიიყვანა საკრებულოდან სამუშაოდ. ეს ის ხალხია, რომელსაც „ნაციონალების“ დროს გამუდმებით ვებრძოდით. ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია ვეტერანებს, რომ ისევ „ნაციონალურ“ მოძრაობასთან გვქონდეს ურთიერთობა. ამაზე მაქვს გართულება და ამიტომ დავუპირისპირდი მას, მოვთხოვე გადადგომა. თვითონ რეჟიმი იყო კრიმინალური და მისი წასვლა რომ გვინდოდა, ეს ხალხი თუ ისევ ხელისუფლებაში იქნებოდა, რა აზრი ჰქონდა ამას? ჩემთვის მიუღებელია ეს. ისევ იმ ადამიანთან მაქვს საქმე, ვისაც ვებრძოდი.

**— რა საკითხებზე აპირებთ ბიძინა ივანიშვილთან საუბარს?**

– იქიდან გამომდინარე, რომ მას დავუჭირეთ მხარი „ნაციონალების“ მოსაშორებლად, გვინდა ვუთხრათ, რომ შიხიაშვილთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს და უნდა გაეცეს მას პასუხი.

**— რა კითხვები არსებობს?**

– ეს ადამიანი დაინიშნა დიდ თანამდებობაზე „ნაციონალების“ გუნდთან ერთად, იმ დროს, როცა ირგვლივ უამრავი პროფესიონალი კადრია. სხვები უფრო იმსახურებდნენ ამ სამსახურს. ამისთვის არ გვიბრძოლია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს წარმოდგენილი იქ. როგორ მივიდე და რა ვთხოვო ვეტერანთა დეპარტამენტს, რომელიც „ნაციონალებითაა“ სავსე?

– ადამიანს, რომელსაც 26 მაისს, ვეტერანები რომ დაარბიეს და ხმა არ ამოუღია, არაფერი ესაქმება დეპარტამენტის უფროსად. ვეტერანების უფლებები მას არასდროს დაუცავს. სოლიდარობა არ გამოუცხადებია ჩვენთვის მაშინ, როცა ვეტერანები აყარეს. ემზარ კვიციანის აქცია მიმდინარეობდა და არ ამოუღია ხმა. გასაგებია, შეიძლება პოლიტიკურ განცხადებად ჩაეთვალათ, მაგრამ ვეტერანებს როცა ეხება საქმე, მას ყოველთვის უნდა ამოეღო ხმა. ამას ვითხოვ, სხვას კი არაფერს.

**— სულ 3 თვეა, დაინიშნა, რა უნდა მოესწრო აქამდე?**

– აქამდე რასაც აკეთებდა, იმის მიხედვით ვხვდებით, რომ ვერ დაიცავს ჩვენს უფლებებს. მე არანაირი პირადული მასთან არ მაქვს. ელემენტარულად, ვეტერანების არასამთავრობოებს შეხვდა და არ დამიძახა. თუ შეხვედრაა, ყველას უნდა შეხვდეს, იცის კიდეც ჩემი ტელეფონის ნომერი და ძალლადაც არ ჩამაგდო. ნუ ამტკიცებს, რომ ყველაფერი რიგზეა, ასე არაა.

**— როგორც ვიცით, თქვენ ერთმანეთს შეხვედრიხართ და ხელის ჩამორთმევით დაშორებიხართ ერთმანეთს. რაზე ვერ შეთანხმდით? ეს პრეტენზიები ხომ გააცანით მასაც?**

– მე არანაირი დაინტერესება არ მაქვს, არც თანამდებობა მინდა, მე მინდა, ის ისეთი იყოს, რომ ვენდობოდე და ვანდო ვეტერანების საქმე. მე მას შევხვდი, დიახ, მერე გამოვიდა და თქვა, ქვარიანთან პრობლემა არ მაქვსო.

**— ძველი ამბების გახსენებას, იქნებ ახალი დავალებები მიგეცათ და თუ არ შეასრულებდა, მერე მოგეთხოვათ პასუხი.**

– არა, ჯერ ის უნდა ახსნას, რატომ გაამართლა 26 მაისის დარბევა, სადაც ხალხი სისხლში ცურავდა. მიმტკიცებდა, არ ვამართლებდიო. ჩანაწერი ხომ არსებობს? თანამდებობის პირი რომ ხარ, ისეთი განცხადებები არ უნდა გააკეთო, რომელსაც მერე გიხსენებენ და ვერ აუხსნი ხალხს. არავის არაფერს ეკითხება, ისე აკეთებს ყველაფერს. იმდენჯერ უხსენეს მისი სახელი ღარიბაშვილს, რატომ აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, ხომ უნდა მიხვდეს და გადადგეს?

**ბრალდებებთან დაკავშირებით „ალია“ ირაკლი შიხიაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ირაკლი, ემზარ ქვარიანის პრეტენზიებს თუ იცნობთ?**

– დიახ, ვიცნობ. ამ ადამიანს, ალბათ, აქვს მიზეზები, რომ განაწყენებული იყოს, მას უნდა გარკვეულწილად, ყურადღება მიიპყროს. ეს ადამიანი ნაომარია, შევხვდი მაშინვე, როგორც კი სამსახურის უფროსად დავინიშნე. ჰქონდა ბევრი არასწორი ინფორმაცია და გვქონდა კაცური საუბარი. უამრავი რამ განვიხილეთ. ხელი ჩამოვართვით, გადავკოცნეთ ერთმანეთი და გვერდში მიგულეო. გადის ორიოდე დღე და ვხედავ, ამბობს, შიხიაშვილის მიმართ პრეტენზიები მაქვსო. ბოლო ხანს მე მასთან არ მისაუბრია და მაქვს რაღაც ინფორმაცია, რომელსაც მასთან დავაყენებ, ახლა არ მინდა მასზე საუბარი. ჩემს გუნდთან ერთად მინდა ვიყო ვეტერანების დამცველი, ვიყოთ საქმეზე ორიენტირებული.

**— ის ამბობს, ვეტერანების 90% მხარს არ უჭერს შიხიაშვილსო...**

– რომ დავინიშნე მეუბნებოდნენ, ვეტერანები შეხვედრაზე არ მოვლენო, ყველა რეგიონში ვეტერანებით დარბაზები გადაიჭედა. მაქვს დიდი გეგმები, ყველა ვეტერანს მინდა შევხვდე და გავეცნო მათ პრობლემებს. სიტუაციური ანალიზი უკვე გაკეთებული მაქვს ვეტერანების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მივიღე მათგან რჩევები და დავალებებიც. მე ვიცი, რა პრობლემებიც აქვთ ვეტერანებს და ამ ცალკეული პრეტენზიების მოსმენას, მირჩევნია, საქმე ვაკეთო.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი საყდრისთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს მიმართავს



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საყდრისში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება. ომბუდსმენი კულტურის სამინისტროს საყდრისის საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნისკენ მოუწოდებს.

„როგორც ვიცით, ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე სასამართლო დავა მიმდინარეობს და ამის მიუხედავად სამთო მოპოვებითი სამუშაოები კვლავ განახლდა, რაც არის ძალიან სამწუხარო. არ იქნა გათვალისწინებული ის, რომ საქმე კვლავ სასამართლოშია. რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხს აქვს საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ჩვენ მოვუწოდებთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, უახლოეს დღეებში შექმნას სამუშაო ჯგუფი და უზრუნველყოს პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ხაჯიმბას განცხადებას პროვოკაციულსა და პოპულისტურს უწოდებენ



საგარეო საქმეთა სამინისტროში პროვოკაციულსა და პოპულისტურს უწოდებენ რაულ ხაჯიმბას განცხადებას, რომლის მიხედვითაც „ენგურჰესი“ აფხაზეთს უნდა ეკუთვნოდეს.

„აუცილებლად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მიუხედავად 20 წელზე მეტი კონფლიქტისა, ენერგოსფეროში თანამშრომლობა, რა სტატუს კვოც ჰქონდა ენგურს და როგორც მუშაობდა ეს კაშხალი, სამაგალითო იყო. მეც მოვისმინე დარგის სპეციალისტების შეფასება და მაქვს რწმუნება, რომ ამ საკითხს არაფერი ემუქრება, რადგან ეს არის ჩვენი კუთვნილება“, – განაცხადა საგარეო უწყების სპიკერმა დავით კერესელიძემ. (ნიუპოსტი)

## ხანძარი ვაჟა-ფშაველაზე

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე წიწვოვან ხეებს ცეცხლი გაუჩნდა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, შემთხვევა ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან მოხდა. შემთხვევის შედეგად ორმა პიროვნებამ სახის არეში დამწვრობა მიიღო. ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ადგილზე ექვსი სახანძრო და სამაშველო ბრიგადა იმყოფებოდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკო-ს წევრობაზე ორი ახალი კანდიდატურა წარუდგინა



ცესკო-ს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე პრეზიდენტმა წარადგინა ნინო თათრულაიძისა და დიმიტრი ჯავახაძის კანდიდატურები.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 28 ნოემბერს წარდგენილ ორ კანდიდატს, ლევან ტურაშვილსა და ზურაბ ხრიკაძეს მხარი არ დაუჭირა, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით პარლამენტს წარედგინა იმავე კონკურსში მონაწილე ორი სხვა კანდიდატურა. (ნიუპოსტი)

## „აირზენა“ საპროტესტო აქციებს გააგრძელებს



კომპანიაში მთავრობას გაკოტრების მცდელობაში ადანაშაულებენ და აქციების განახლებას დღეიდან გეგმავენ.

ისინი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და მთავრობისგან ქართული ავიაგადამზიდველის ინტერესების დაცვას ითხოვენ.

რაც შეეხება ფრენებს, ავიაკომპანია საახალწლო დღეებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით ყველა მიმართულებით გააგრძელებს ფრენებს. (ნიუპოსტი)

## დედამ შვილი ჩამომხრჩვალი იპოვა




გორში, 24 წლის გოგონა საკუთარმა დედამ ჩამომხრჩვალი ნახა. გოგონა მეუღლეს ცოტა ხნის წინ გაშორდა და მას შემდეგ მარტო ცხოვრობდა.

„დედამისი ტყვიავში ცხოვრობს, ჩამოვიდა სანახავად და ჩამომხრჩვალი ნახა სახლში“, – ამბობს გარდაცვლილის ერთ-ერთი მეზობელი.

შსს-ს ცნობით, გამოძიება 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



# ვინ, სად და როდის აპირებს სააკაშვილის ფიტულის დაწვას?

„თავისუფალი თაობა" მორიგი აქციისთვის ემზადება. ისინი ბრძოლას უცხადებენ „ნაციონალურ მოძრაობასა" და მასთან მოაზრებულ ორგანიზაციებსა თუ ცალკეულ პერსონებს.

**რა იგეგმება მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს? რატომ დაიბარეს საგამოძიებო უწყებაში ლადო სადღობელაშვილი?**

**„ალიას" ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ლადო, „ნაციონალური მოძრაობის" გარდა, კონკრეტული პირების წინააღმდეგ ბრძოლაც დაიწყე. რატომ?**

– დიახ, ასეა. ერთ-ერთი მათგანი არის ნემო ბურჭულაძე და მისი შვილი, მუხრან ბურჭულაძე. ეს უკანასკნელი პოლიტიკაში ძალიან გააქტიურდა. ბოლო დროს რამდენიმე აქცია ჩაატარა, რომ ტელევიზიით გაპიარებულიყო. ნემო ჩანერგილი იყო „კგბ"-ს მიერ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში და ეს მას თავისი პირითაც აქვს ნათქვამი. თუ დამჭირდება, პირადად დავაყენებ იმ ხალხს პირზე, ვისთანაც გამოტყდა. როგორც ჩანს, მამისგან გენეტიკურად გამოჰყვა მუხრანს ე.წ. ნასედკური ინსტიტუტი და მემკვიდრეობით ჩაშვების, მოღალატეობის გზას აგრძელებს. თავისი მშობლების სახლში, ბახტრიონზე არ მიესვლება, იქ ისეთები აქვს გაკეთებული. მე ვაგრძელებ ყველა იმ ადამიანის ლუსტრაციას, ვინც მხარს უჭერს „ნაციონალების" იდეოლოგიას. გაბედა ამ ბატონმა და გამსახურდიას შეადარა სააკაშვილი, ისიც კი თქვა, როგორც გამსახურდია განდევნეს, ისე განდევნეს ქართველებმა სააკაშვილიო. ეს არ ვიცი, ვისი დავალებით თქვა, მაგრამ ფაქტია, დიდი სისულელე თქვა.

**— სააკაშვილის დაბადების დღეზე აქცია გაქვს დაგეგმილი, როგორც გავიგეთ. სად აპირებთ ჩატარებას?**

– 21 დეკემბერს არის მისი დაბადების დღე და რახან კვირაა და არ არის აქტიური დღე, ამიტომ გადავწყვიტეთ, შაბათ დღეს გავმართოთ. სააკაშვილის სახელობის ფიტულები შევუკვეთეთ, რომელიც გვინდა, რომ დავწვათ. სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკასთან ვიკრიბებით. მოგეხსენებათ, რატომაც ვერჩით ამ ბიბლიოთეკას, იქ იკრიბებიან „ნაცხროვის" წევრები და დამქაშები. კი მაგრამ, ზვიად გამსახურდია თუ ასე უყვართ და მისტირიან მის მთავრობას, რაღა სააკაშვილის ბიბლიოთეკა იყოს, ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკად გადააკეთონ. ეს უფრო გამართლებული იქნება და არასდროს გაუჩნდებოდა ვინმეს პრეტენზია. ამ „ნაციონალების" ბუდეში ვერ შეხვალ, თუ „ნაციონალი" არ ხარ. გამოდის, რომ ეს ბიბლიოთეკა არის ცალკეული ჯგუფების. რაც შეეხება ფიტულის დაწვას, საუბრობდნენ იმაზე, რომ სატანური რიტუალია. სულაც არაა ასე. ჩვენ ამ ჟესტით ვემშვიდობებით სააკაშვილს კიდევ ერთხელ. რიტუალი გვინდა ჩავატაროთ ამ დამშვიდობებისა.

**— რამდენი ადამიანი იქნება?**

– არავისზე არ მაქვს არასდროს გათვლა. ჩვენ ვართ საკმაოდ სოლიდური ორგანიზაცია, არ ვუჩივით არც ახალგაზრდების სიმცირეს და არც იდეოლოგიურ მომხრეებში გვაქვს პრობლემა. აქციაზე 250-300 ახალგაზრდას მოვუყრით თავს. როცა ახალგაზრდები ასე აქტიურობენ, ეს უკვე გამარჯვებაა იმ რეჟიმზე, რასაც ვებრძვით.

**— პროვოკაციას არ ელოდები?**

– ამას სულ ველოდებით ხოლმე. თუმცა ჩვენ არასდროს შევშინებივართ არანაირ პროვოკაციას. აღსანიშნავია პატრულის ღვაწლი, რომელიც სულ აკეთებს კორდონს. არასდროს ვიხევთ უკან, რადგან გვაქვს ჩვენი გზა და იდეა. პროვოკაციების არ გვეშინია.

**— როგორც გავიგე, საგამოძიებო უწყებაში დაგიბარეს. რა საკითხზე უნდათ საუბარი?**

– „ალიაში" იყო სტატია... იმ დაპირისპირების გამო მიბარებენ, რომელიც არსებობს ჩემსა და პარტია „რეფორმატორებს" შორის. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნინო ჩარკვიანმა საჩივარი შეიტანა, ვითომდა მე მას ვემუქრებოდი. მაშინაც განვმარტე და ახლაც ვიმეორებ, რომ არავის არ ვებრძვი პიროვნულად, მე ვებრძვი პოლიტიკურად „ნაციონალებს" და მათთან დაახლოებულ პირებს. რადგან, ჩემი აზრით, „რეფორმატორები" „ნაციონალების" შტოს წარმოადგენენ, ვებრძვი მასაც. კი, ბატონო, მივალ საგამოძიებო უწყებაში, მოვისმენ ბრალდებებს, ვუპასუხებ კითხვებს, რადგან მე ვარ კანონმორჩილი მოქალაქე. მესმის, რომ, ალბათ, ჩარკვიანს მისმა შეფობამ დაავალა განაცხადის შეტანა. ვის აწყობს ჩვენი გაჩერება? მხოლოდ „ნაციონალებს" და მათი იდეოლოგიის მომხრეებს.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სოსო რობაქიძემ ზურაბ მიქაძეს ტელეფონი ესროლა



საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს ზურაბ მიქაძესა და სოსო რობაქიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. რობაქიძემ მიქაძეს მობილური ტელეფონი ესროლა.

როგორც მიქაძემ აღნიშნა, ის რობაქიძის პროვოკაციას არ წამოეგება.

„მას კამერებთან პოზირება უყვარს. ჩემს სათქმელს სასამართლოზე ვიტყვი. სოსო რობაქიძის პროვოკაციას არ წამოვეგები". – განაცხადა ზურაბ მიქაძემ. (ნიუპოსტი)

## „ეს არ უნდა ეპატიოს ხელისუფლებას"



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ საყდრისთან დაკავშირებით უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიიღო. მისი თქმით, ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და საყდრისთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა კითხვას უნდა უპასუხოს.

„ახლა, ალბათ, გვიან არის საყდრისის გადარჩენაზე საუბარი. ჩვენ ამ ფაქტს ვუწოდეთ ბარბაროსული ფაქტი. ეს არის საზოგადოების უპატივცემლობა, საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა. ეს არის ისეთი რამ, რაც არ უნდა ეპატიოს ხელისუფლებას. მოვუწოდებ ხელისუფლებას, პასუხი გასცეს საზოგადოების შეკითხვებს", – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## შსს მოსახლეობას აფრთხილებს



შინაგან საქმეთა სამინისტრო, შობა-ახალი წლის დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას პიროტექნიკის გამოყენების თაობაზე რეკომენდაციით მიმართავს. სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, სიფრთხილით მოეკიდონ სადღესასწაულო ასაფეთქებელ საშუალებებს, გამოიყენონ ისინი ინსტრუქციის მიხედვით და მოარიდონ პიროტექნიკას არასრულწლოვანი პირები, რადგან აღნიშნული საშუალებების არასწორად გამოყენება ხშირად სავალალო შედეგებით, ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სრულდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რატომ არ მივიდა დავით ბაქრაძე პრემიერთან შეხვედრაზე



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე იმ მიზეზს ასახელებს, რის გამოც 13 დეკემბერს პრემიერთან გამართულ შეხვედრაზე ვერ მივიდა.

„შეხვედრები იმართება ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებზე. ეს შეხვედრა არ შეეხებოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის თემატიკასა და მის კოორდინაციას. შესაბამისად, ამაში გასაკვირი და აღსანიშნავი არაფერია", – განაცხადა ბაქრაძემ.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა 13 დეკემბერს გაიმართა. მას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის თემა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა იყო. (ნიუპოსტი)

## „ორ წელიწადში მოსამართლეთა ღირსეული კორპუსი გვეყოლება"



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ორ წელიწადში საქართველოს მოსამართლეთა ღირსეული კორპუსი ეყოლება.

„ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ მართლმსაჯულება, მოსამართლეები იყვნენ თავისი ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებელი. არ უნდა არსებობდეს აღქმა, რომელიც შეიძლება ხანდახან რომელიმე პროცესს ჩრდილს აყენებდეს. ახლა მთავარია, რომ რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა, უკვე სასამართლოს შიგნით რეფორმირებას მოემსახუროს. ვფიქრობ, მალე ჩვენ გვეყოლება მოსამართლეთა კორპუსი, რომელიც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ არანაირი კითხვის ნიშნები არც ერთი სისხლის სამართლის პროცესის მიმართ აღარ იქნება", – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

# რატომ იზრდება პარლამენტის კომიტეტის წევრების რაოდენობა?



საქართველოს პარლამენტი, კომიტეტებში, დეპუტატთა რაოდენობას ზრდის. ამჟამად მოქმედი 15-წევრიანი კომიტეტები 17 წევრით განისაზღვრება, ხოლო 17-წევრიანი კომიტეტები 19-წევრიანი ხდება.

„საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტი პარლამენტს უკვე წარედგინა.

საკითხი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი კახიანმა მოამზადა, რომლის განმარტებითაც, კომიტეტების შემადგენლობის გაზრდის მიზეზი საპარლამენტო ფრაქციებში მომხდარი ცვლილებებია.

**კონკრეტულად, რა ცვლილებები მოხდა ფრაქციებში და რამ გამოიწვია კომიტეტებში წევრების ზრდა?**

**„ალიას" გიორგი კახიანი ესაუბრა:**

– ეს ცვლილება გამოიწვია პარლამენტში ახალი ფრაქციების შექმნამ, „თავისუფალი დემოკრატების" ოპოზიციაში გადასვლამ. შეიქმნა ახალი პოლიტიკური ბალანსი, როცა იცვლება ფრაქციები, ვიღაცა გადის ფრაქციიდან, ვიღაცა შედის, ზოგიერთმა დეპუტატმა ახალი ფრაქციები შექმნეს, ზოგიერთი თავისუფალი დეპუტატი რომელიღაც ფრაქციას შეუერთდა. როცა ასეთი ცვლილებები ხდება, ასეთ დროს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, ვალდებულია, ფრაქციების წარმომადგენლობის ახალი კვოტირება მოახდინოს კომიტეტებში. ახალმა კვოტირებამ გამოიწვია ასეთი ცვლილება და მოხდა კომიტეტებში პარლამენტის წევრთა ზრდა.

გადაწყვეტილება არ არის ჯერ მიღებული, თუმცა, დადგენილების პროექტი ინიცირებულია. გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კომიტეტმა და პარლამენტმა.

პარლამენტის წევრთა ვალდებულებაა, რომ იყოს მინიმუმ ერთი კომიტეტის წევრი მაინც, თუმცა აქვს უფლება, იყოს ორი კომიტეტის წევრიც. ამჟამად, პარლამენტის წევრები ერთ ან ორ კომიტეტში არიან გაწევრიანებულები. უმეტესად ორ კომიტეტში. მათთვის არაფერი იცვლება. აუცილებელიცაა, თუ პარლამენტის წევრი ხარ და კომიტეტში არ საქმიანობ, არ გაქვს უფლება, რომ ხელფასი მიიღო. ბიუჯეტის თვალსაზრისით არაფერი იცვლება.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ლევან ღვინჯილია — „სელფი“! — რა არის ეს? ეგების, მოიღოთ მოწყალება და, ვინმემ ამიხსნათ?!

ენათმეცნიერი სოციალურ ქსელში სიტყვა „სელფის" ახსნას ითხოვს და სურათის გადაღებისას გაკეთებულ მანერაზე აკეთებს აქცენტს.

– ამ ბოლო დროს, აგერ სულაც ჩვენს თვალწინ, ქართულ ენაში შემოაგელვეს კიდევ ერთი ინგლისური ტერმინი – „სელფი“. ამჯერად არაფერს ვამბობ თვით ტერმინის შესახებ. ეგ სხვა დროისთვის იყოს.



ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ („სელფი“) მეთოდით გადაღებულმა ფოტოებმა, რომელთაც ლამისაა წალეკონ სოციალური ქსელები.

ამასთან დაკავშირებით ერთი მიამიტური კითხვა გამიჩნდა და, თუ ნამეტანი „გოიმად“ და „სოფელოდ“ გამოვიყურები მავანთა თვალში, გთხოვთ, დიდსულოვნად მომიტევოთ (რაცა ვარ – ეგა ვარ!) და მაინც უნდა ვიკითხო: რატომაა, ამ ე.წ. „სელფიფოტოებზე“ ქალიან-ვაჟიანად ყველა რომ იჯღანება და ტუჩებს პრუწავს?.. ეს რა, მოდაა? თუ რამე სიახლეა ჩვენს ფოტოსამყაროში და ჯერ „მდაბიოებმა“ კარგად ვერ გავითავისეთ?

ეგების, მოიღოთ მოწყალება და, ვინმემ ამიხსნათ?!, – წერს ღვინჯილია „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## როგორ დავიპატარაოთ კუჭი — რჩევები სოფო ბედიასგან (მინუს 22 კილოგრამი)



სოფო ბედიას ლამაზ ქალურ ფორმებზე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდნენ, როცა მომღერალი პირველად გამოჩნდა ფართო აუდიტორიის წინაშე. „ჯეოსტარის“ შემდეგ სოფომ 22 კილოგრამი დაიკლო.

– უბრალოდ, მინდოდა ფორმაში ვყოფილიყავი. მომღერალი ვარ, სცენაზე ვდგავარ და ეს ყოველთვის მჭირდება. რომ გითხრათ, ვიშიმშილე, ან რაიმე კონკრეტული დიეტა დავიცავიმეთქი, მოგატყუებთ. უბრალოდ, დოზები შევამცირე. დანაყრებამდე არ მივდიოდი. იყო პერიოდი, როცა საერთოდ ამოვიღე მენიუდან ცომეული. სალათებსა და მოხარშულ ხორცს გეახლებოდით. ვჭამდი, ცოტას და ხშირად. ამ ეტაპზე მე, ბებო და ჩემი შვილი, ნიკა ვცხოვრობთ ერთად. შესაბამისად, ბებო მიწყობს ხელს, რაიმე ნაკლებკალორიული საჭმელი მომიმზადოს. თუ გარეთ მიწევს კვება, იქაც სალათებს გეახლებით.

ტკბილეული საერთოდ ამოვიღე კვების რაციონიდან. ნამცხვრებს აღარ ვჭამ. შოკოლადი მიყვარს და თუ სადმე შემომთავაზებენ, უარს არ ვამბობ, მაგრამ სახლში არ ვყიდულობ, რომ არ შემომეჭამოს. ღამით ვცდილობ, საერთოდ არ ვჭამო. ჩემი კუჭიც მიეჩვია ამ მდგომარეობას და დიდი მოთხოვნილებაც არ მაქვს. თუ სადმე წვეულებაზე ვარ, ყველაფერს გეახლებით, უბრალოდ დოზებს ვაკონტროლებ.

კუჭიც დამიპატარავდა და ისეთი მოთხოვნილება აღარ მაქვს, როგორიც მქონდა.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „Amor Fati“ — რას წერს კახა ბენდუქიძის ქალიშვილი „ფეისბუკზე



კახა ბენდუქიძის ქალიშვილი ანასტასია გონჩაროვა „ფეისბუკის" გვერდზე წერილს აქვეყნებს:

– მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გასულ თვეს კეთილი სიტყვებით გვერდში ამომიდგა. ძალიან მენატრება მამა, მაგრამ მისი არსებობა ჩემს ცხოვრებაში იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ზოგჯერ მგონია, რომ ის სადღაც ახლომახლოსაა. ზოგჯერ მგონია, რომ სამოგზაუროდ წავიდა სადმე, კიდევ ერთი-ორი ქვეყნის გადასარჩენად, იქნება ეს უკრაინა, ალბანეთი, გუატემალა თუ გონდურასი.

ჩემი დევიზი ყოველთვის იყო „Amor Fati“. მამა ყოველთვის დამცინოდა ხოლმე ამ დევიზის გამო, მაგრამ ის მას ხელს არ უშლიდა, ეთქვა ჩემთვის: „Amor Fati“, როდესაც რაიმე ცუდი ხდებოდა ირგვლივ: „ჰა რა გჭირს „Amor Fati“.

„Amor Fati“ ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „საბედისწერო სიყვარული“ – ურთიერთობა, სადაც თქვენ ხედავთ ყველაფერს, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება, მათ შორის ტანჯვას და საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ის თუ რამდენად კარგია ცხოვრება, ის რომ ეს ადამიანი გჭირდებათ, ის რომ ის არსებობს თქვენს ცხოვრებაში, ამიტომ ისინი („Amor Fati“) ყოველთვის იქნებიან თქვენს ცხოვრებაში, მოგწონთ ეს თქვენ თუ არა.

ვწუხვარ, რომ ის წავიდა. არავის შეუძლია ამის გამოსწორება, მაგრამ თუ არ მივიღებ ამ რეალობას, ეს დროის ფუჭად ხარჯვას დაემსგავსება, რადგან ამ რეალობის შეცვლა შეუძლებელია.

ის მასწავლიდა, რომ უნდა მეცხოვრა ჩვენი მორალური კომპასის მეშვეობით. უნდა მეცხოვრა ჩვენი აზროვნებისთვის და ერთიანობისთვის და არ უნდა შემრცხვენოდა იმის, რასაც ვაკეთებდი. მასწავლიდა, რომ უნდა მყვარებოდა ის, რასაც ვაკეთებ და უნდა მეამაყა ამით. უნდა მებრძოლა უსამართლობისთვის და სამართლიანობისთვის. მასწავლიდა, მქონოდა საკუთარი აზრი და არ ვყოფილიყავი იდიოტი. მასწავლიდა ვყოფილიყავი თავისუფალი სტერეოტიპებისგან და ღია ცვლილებებისთვის.

ახლა ყველაზე მთავარია, არ ვიყო მოწყენილი, გავუძლვე მის დატოვებულ სიკეთეებს ისე, რომ ის ზეციდან მიყურებდეს და ამაყობდეს.

დამდეგ ქრისტეშობას გილოცავთ ორი წითელი სანტა-კლაუსისგან, – წერს ანასტასია.

***newposts***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „გაბზარული ნეკნით ცეკვა შეუძლებელია“ — როინიშვილს ტყუილში ადანაშაულებენ



პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთ მონაწილეს მარიამ როინიშვილს ტყუილში ადანაშაულებს.

მისი თქმით, გაბზარული ნეკნით ცეკვა შეუძლებელია და როინიშვილი ამ განცხადებით ხალხის მანიპულირებას ცდილობს.

– ახლა რომ ერთი ცნობილი სახის გავრცელებულ ინფორმაციას გამოვეხმაურო, დარწმუნებული ვარ, ისევ მწარედ ავლაპარაკდები და იტყვიან, რა მწარე ენა ჰქონია ლომაიასო. მერე ამას ისევ ჩემი ლანძღვა მოჰყვება, როგორც სჩვევიათ და ასე. არადა რა რთულია, როცა ხარ ექიმი და ზუსტად გესმის ის ზღაპარი, რაც პრაქტიკულად შენი საქმეა და ვილაცა გამოდის და ამბობს, რომ თურმე გაბზარული ნეკნით ცეკვაც კი შეძლო. ნუ, ეს იცით როგორი ზღაპარია? და საერთოდ, იცით ნეკნის გაბზარვის დროს როგორი ტკივილები იცის? მით უმეტეს ნეკნების შეხორცება (ცდომის გარეშე) ძალიან მტკივნეული პროცესია, რადგან ამ დროს გულ-მკერდის ღრუ მონაწილეობს სუნთქვის პროცესში, ნეკნთაშუა კუნთების ხარჯზე ხორციელდება მათი მოძრაობა (ცრუ ნეკნების გარდა). ამიტომ გაბზარული ნეკნის ბოლოები შესაბამისად მოძრაობენ გულ-მკერდთან ერთად, შეხორცების პროცესი კი 3 კვირამდე ან მეტი გრძელდება. ამ პერიოდში კი ყოვლად შეუძლებელია პაციენტი ფეხზე დაგდეს, მას ფიზიკურად ვერ ექნება დგომის თავი, მით უმეტეს, არა თუ ცეკვის. ვის აბოლებთ თქვენ? თუ ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები ეფექტს არ იძლევიან, სასურველია, გაკეთდეს ნეკნთაშუა ნერვის ბლოკადა. ხოლო ასეთ დროს მჭიდრო ნახვევი არ არის მიზანშეწონილი, რადგან შეიძლება შეიზღუდოს გულ-მკერდის ექაკურსია (მოძრაობა). ასე რომ, ბოდიში თქვენთან, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სიმართლეს ვქადაგებ და ახლა გინდ გეწყინოთ და გინდ – არა, უბრალოდ არ შეიძლება ადამიანების ასე მოტყუება და მანიპულირება, რომ აი, თურმე ნეკნგაბზარული ცეკვავს და აუცილებლად იმსახურებს ხალხისგან ზღვა ესემესებს, – წერს ლომაია.

***newposts***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნუნუკა ბოზი რძლის შესაყვარებლად მზად არის



ღორეშელი ნუნუკა ორჯონიკიძე „ჩემი ცოლის დაქალების" სუნელ-სანელებლად იქცა. მისი გამოჩენა პირდაპირ ფრთიან კუთხურ გამოთქმებთან და სიცილთან ასოცირდება. იმერულ ცეცხლს ანთებს და იმერული ხაჭაპურის სურნელს ატრიალებს. გადაღებისას კამერის უკან ფხუკუნი ესმის. ნუნუკას სცენებზე სტაფი იცინის. თუმცა დასაწყისში უთხრეს, გადამეტებულად არ ეთამაშა. მაგრამ შეპარებულმა „აქანა-მაქანა-მადანამ" ბუნებრივად დაიკავა ადგილი...

– რძლის მოყვანის ამბავს რომ გაიგებს, კივილი მე დავამატე. ბერტა და დანარჩენები გაკვირვებულები მიყურებენ. არ იყო გათვალისწინებული. დავამატე ბალკომში. „ჩემი კუბო დადგით" იყო და მე „ბალკომში" დავამატე. „შემასხით ვინმემ წყალს" დავამატე „პირში". სიტუაციამ მოიტანა, წამომცდა. ჯერჯერობით არ არის ნუნუკა სერიებში. ალბათ, საშინელებას მიმზადებენ. მოჩეჩვა იქნება, ალბათ. მე უკვე შეშინებული ვარ. აწი რა უნდა გავაკეთო, თუ გავაფუჭებ თორემ. გაფუჭება კიდევ არ მინდა. ნუნუკა სერიალის სუნელი და მარილია. ბევრს რომ მოაყრი, კერძი გაფუჭდება. ზომიერად უნდა იყოს, სუნი არ უნდა აუვიდეს. ასე შეიძლება თავისი ადგილი შეინარჩუნოს. როცა მაყურებელი შენგან რაღაცას ელის, არ უნდა გააწბილო. მე, ქეთი ჩხეიძეს, მინდა ნუნუკას ეს რძალი შეუყვარდეს.

***primetimenews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## დისკუსია „ჩემი ცოლის დაქალების“ გარშემო — ეს სერია აბორტზე არ იყო, ოჯახურ ძალადობაზე იყო



„ჩემი ცოლის დაქალების“ გუშინდელ სერიას სცენარისტის „ფეისბუკის“ გვერდზე განხილვა მოჰყვა. თავად ქეთი დევდარიანმა დაწერა:

– მოკლედ, მე არ მყავს თამარა გურჩიანი მეგობრებში და ამიტომ მას და ბარემ აქვე ყველა „ენჯეოს“ ჩემს „ვოლზე“ საჯაროდ ვუპასუხებ, რომ ყველანაირი გაიდლაინი მკიდია და არასდროს არ იქნება „ჩცდ“-ში „ჭეშმარიტი მესიჯები“. ცხოვრება არ არის ეგეთი სწორხაზოვანი.

თემა – მაკამ თავის ქალიშვილს აბორტი ძალით გააკეთებინა. ზოგი წერს, რომ ბევრი შინაგანად დედას ამართლებს, უბრალოდ შვილი ეცოდება, ზოგი წერს, როგორ შეიძლებოდა აბორტის ასეთი პროპაგანდა. კომენტარებს სერიალის პროდიუსერი ირაკლი საღინაძე ეხმიანება.

**ირაკლი საღინაძე:**

– მინდა აღვნიშნო, რომ საინტერესო დისკუსია გაიმართა ამ საკითხის გარშემო, უბრალოდ, სერიალში აღძრული თემა არასწორად იქნა გაგებული. ეს სერია აბორტზე არ იყო, ოჯახურ ძალადობაზე იყო. დიადი სიყალბის სახელით ჩადენილ ბოროტებაზე, ბოროტებაზე არა როგორც აბორტზე, არამედ როგორც ძალადობაზე სრულწლოვანის, მაგრამ დამოკიდებული ადამიანის მიმართ. მოკლედ, პრობლემა, რაც სერიალში აღინიშნა, გაცილებით კომპლექსური და ღრმაა, ვიდრე მისი ასე სწორხაზოვანი და ზედაპირული აღქმა. „აბორტი“ მხოლოდ ნავთია ცეცხლზე.

***primetimenews.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## ავეჯის გამყიდველი ფრანგულად... დუნდულებით ალაპარაკდა



პრინციპში, ამ ადამიანის საქმიანობას არც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უფრო მთავარი მისი საოცარი უნარი – დუნდულებით ლაპარაკია(?!).

თურმე, გადარევას არიან ლინგვისტები და ვერაფრით ხსნიან, როგორ შეძლო 40 წლის დეტროიტელმა ჯესიკა ჯაბლონსკიმ ფრანგული ენის... საჯდომით, უფრო სწორედ, დუნდულებით სწავლა.

ყველაფერი 6 თვის წინ დაწყებულა, როცა ავეჯის გამყიდველი შუაღამისას ვიღაცის საუბარს გაუღვიძებია და როცა ყური კარგად დაუგდია, მიმხვდარა, რომ „ვიღაც“ მის საბანში ბაასობდა.

– განძრევისაც კი მეშინოდა, – იხსენებს პირველ შთაბეჭდილებას ჯესიკა ჯაბლონსკი, – მაგრამ, როგორც იქნა, ძალები მოვიკრიბე და საბანში ჩავიხედე...

რაც ყველაზე მთავარია, ამ ამერიკელს ფრანგული ენა არასოდეს სცოდნია, თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლიგლოტი მისი... საჯდომი ყოფილა...

სხვათა შორის, ამ მოვლენას მეცნიერებამ ახსნაც კი მოუძებნა და აი, ასეთი დიაგნოზი დასვა – კუჭის ლინგვისტური ამპლიფიკაცია.

რაც ყველაზე მთავარია, ასეთი შემთხვევა მსოფლიოში პირველად არ დაფიქსირებულა – 1920 წელს ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა ვინმე ედვარდ პეტერსონი, რომელსაც მეტსახელად „ორმაგ ლაპარაკს“ ეძახდნენ და რომელიც ჯესიკა ჯაბლონსკის მსგავსად იტანჯებოდა.

– სამწუხაროდ, ამ ფენომენის ამოხსნისა და მისი მკურნალობის გზები ჯერჯერობით არ არსებობს და ვინც საჯდომით იწყებს ლაპარაკს, მთელი ცხოვრება ვერ იკურნება, – ამბობენ მეცნიერები.

***positime.ru***

## სიმპათიურ ქალთან უბრალო საუბარიც კი მამაკაცის განწყობილებას აუმჯობესებს



აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ გაწითლებულხართ მომხიბვლელ ქალთან საუბრისას? გაიხსენეთ და გაგეღიმათ, თქვენს გამოუცდელობაზე, არა? სამაგიეროდ, ახლა ხომ ახერხებთ მშვენიერ სქესთან შესანიშნავი ურთიერთობის დამყარებას, მთავარი ეს არის.

ჰოდა, რაკიღა ამ მიმართულებით „დასპეცდით“, გირჩევთ, რაც შეიძლება, ხშირად გქონდეთ ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან, რადგან მსუბუქი ფლირტითაც კი საკუთარ გუნება-განწყობილებას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ.

ამერიკელი მეცნიერების განმარტებით, მომხიბვლელ ქალებთან ურთიერთობისას, მამაკაცებში გამომუშავდება სწორედ ის ჰორმონი, რომელიც დადებითი ემოციების აღძვრაზეა პასუხისმგებელი.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევა კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა 150-მდე მამაკაცმა მიიღო – გამოცდილმაც და გამოუცდელმაც.

ექსპერიმენტის მსვლელობისას, მოხალისეები თან მომხიბვლელ ქალებს ესაუბრებოდნენ, თან სპეციალურ მოწყობილობაზე იყვნენ მიერთებულნი, რომელმაც დაადგინა კიდეც, რომ მათ ორგანიზმში დადებით განწყობაზე პასუხისმგებელი ჰორმონი გამომუშავდებოდა.

მეტიც, ჰორმონის გამოყოფა ხუთწუთიან საუბარსაც კი მოჰყვა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქალებს მამაკაცებისთვის დიდი ბედნიერების მოტანა შეუძლია და თქვენც გაიხარეთ და აიმაღლეთ გუნება-განწყობა.

***woman.ru***

## პოპობავა — ბოროტი სული, რომელიც მამაკაცებს აუპატიურებს



ჰმ, ბოროტ სულებშიც ყოფილან გეები, წარმოგიდგენიათ?!.

დიდი ეჭვი გვაქვს, ზანზიბარში ჩასვლის სურვილი ოდესმე გაგიჩნდეთ, მაგრამ, თუკი მაინც აიღებთ გეზს აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროებისკენ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი უნდა გაითვალისწინოთ: იქ ჰომოსექსუალი ბოროტი სული დაძრწის, რომელიც მამაკაცებს აუპატიურებს.

პოპობავა – ასე მოიხსენიებენ ადგილობრივები მოძალადე ბოროტ სულს, რომელიც, მათი მტკიცებით, ცალთვალა ჯუჯაა, აქვს პატარა წვეტიანი ყურები და ღამურას მსგავსი ფრთები. პოპობავას მოახლოება ადამიანმა შეიძლება საშინელი სუნითა და კვამლის უეცარი გაჩენით იგრძნოს. ღამით ის ისე გამოიყურება, როგორც აღგიწერეთ, დღისით კი ჩვეულებრივი ადამიანის გარეგნობა აქვს, თუმცა სხვებისგან გამორჩევა მაინც შეიძლება – წვრილი და წვეტიანი თითები ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ფანტასტიკას უფრო ჰგავს და დაჯერება რთულია, ადგილობრივების უმრავლესობას პოპობავასი მაინც ძალიან ეშინია. თურმე, ის მამაკაცებს საწოლში ესხმის თავს, რის შემდეგაც აიძულებს, მომხდარი საჯაროდ მოყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმეორედ გაუპატიურებით ემუქრება. რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, დღესაც კი ხშირად აკითხავენ ზანზიბარის მკვიდრები საავადმყოფოებს და სხეულზე არსებულ დაზიანებებს სწორედ პოპობავას მიაწერენ. იმისთვის, რათა ბოროტი სულისგან თავი დაიცვან, იქაური მამაკაცები თავიანთი სახლების წინ იძინებენ, რადგან ფიქრობენ, რომ პოპობავას მიმართ დაუცველს მათ სწორედ საწოლი ხდის.

***globalfact.ru***

## საინტერესო ფაქტები პაემნების შესახებ



– ქალები, რომლებიც ინტერნეტში, გაცნობის საიტებზე საკუთარ ფოტოებს დებენ, 2-ჯერ მეტ შეტყობინებას იღებენ, ვიდრე ისინი, ვინც ამას არ აკეთებენ.

– ჩვეულებრივ, სექსამდე წყვილებს 6-8 პაემანი სჭირდებათ (აქ საქართველო აშკარად არ იგულისხმება, თორემ მინიმუმ 160 პაემანი მაინც ეწერებოდა).

– ყველაზე ხშირად წყვილები ერთმანეთს ნაცნობობიდან მესამე ან მეხუთე თვეს შორდებიან.

– ყოველი მესამე მოზარდი პაემნების დროს ძალადობის მსხვერპლი ხდება.

– გაცნობის საიტებზე ყოველი მეათე ანკეტა თაღლითების მიერ არის შექმნილი.

– სტატისტიკა მეტყველებს, რომ მარტოხელა მშობლების 92 პროცენტი მთელი სიცოცხლის ბოლომდე მარტოები რჩებიან.

– წლის მანძილზე ონლაინ-ნაცნობობის ინდუსტრია 1,8 მილიარდ აშშ დოლარს შოულობს.

– 10-დან 4 ნაცნობობა სამსახურში ახლო ურთიერთობებით ან ქორწინებით სრულდება.

– ამერიკელი მკვლევარების მტკიცებით, ინტერნეტ-ნაცნობობის მსურველი მამაკაცების დაახლოებით 3 პროცენტი ფსიქოპათია, რომელთა შორის, შესაძლოა, სერიული მკვლელებიც კი გამოერიონ.

– პირველ შეხვედრაზე საკუთარი თავის ძალებისა და მომხიბვლელობის მამაკაცების საშუალოდ 40 პროცენტს არ სჯერა.

– კვლევები ადასტურებს, რომ სკოლები, კოლეჯები, კაფეები და სავაჭრო ცენტრები ფლირტისთვის საუკეთესო ადგილებია, რადგან აქ ადამიანები ყველაზე უფრო გახსნილები არიან. პირველ და მეორე ადგილებს კი მაინც რესტორნები და კინოთეატრები იკავებენ.

– მამაკაცები ყოველთვის მაქსიმალურად ერიდებიან ისეთი ქალების გაცნობას, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მეგობრებთან ერთად დადიან.

– სარკისებრი მიბაძვა, ანუ მოსაუბრის ჟესტების გამეორება ხშირად ძალიან დიდ ეფექტს ახდენს ინტერესის ობიექტზე და მას უფრო მეტად ლოიალურს ხდის.

– თუკი გსურთ გოგონას დაინტერესება, საუბრის დროს მისი სახელი მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა ახსენოთ.

– როცა მამაკაცი პირველად მიდის ქალთან და მის გაცნობას ცდილობს, პირველი შთაბეჭდილების 55 პროცენტი დამოკიდებულია გარეგნობასა და სხეულის მიხრა-მოხრაზე, 38 პროცენტი საუბრის სტილზე და მხოლოდ 7 პროცენტი საუბრის შინაარსზე.

– თუკი ხედავთ ქალების ჯგუფს, სადაც ყოველი მათგანი თვალებს უცნაურად ახამხამებს და აცეცებს, სავარაუდოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ახალ ნაცნობობას ეძებენ. როცა ერთ-ერთი მათგანი დგება, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ „ნადირობა“ დაიწყო. ხოლო მაშინ, როცა ისინი ერთმანეთთან ახლოს სხედან და კისკისებენ, მამაკაცების გაცნობის სურვილი სულაც არ აქვთ.

***1001facts.info***

## ყველაზე „ბებერი“ რესტორანი 1200 წლისაა



მსოფლიოს უძველესი რესტორნისა და სასტუმროს საპატიო წოდებას ავსტრიაში, კერძოდ კი ზალცბურგში წმინდა პეტრეს სააბატოს სამონასტრო კომპლექსის კედლებთან მდებარე სასტუმრო ფლობს.

პირველი ცნობები ამ ადგილის შესახებ შორეულ 803 წელს ჩნდება და რაც მთავარია, მას შემდეგ, დაწესებულების კარი, როგორც ამბობენ, აღარასოდეს დაკეტილა.

რესტორნის საიტზეც შესაბამისი სარეკლამო სლოგანის ნახვა შეიძლება: „ჭეშმარიტი ზალცბურგული სტუმართმოყვარეობა უკანასკნელი 1200 წლის მანძილზე“...

აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა პეტრეს სააბატო გერმანულენოვანი სამყაროს ყველაზე ძველი მონასტერია, რომელიც წმინდა რუპერტმა 696 წელს ააშენა.

***hozna.ru***

## ტრაბახი ადამიანის ტვინს ისევე ახარებს, როგორც სექსი

რას ვიზამთ, გვაქვს ადამიანებს ასეთი სისუსტე: ზოგჯერ ძალიან გვიყვარს საკუთარ თავზე საუბარი. მაგალითად, გულისნადების გაზიარება, ცოტა წუწუნი და რაც მთავარია – ტრაბახი.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ თურმე, ტრაბახი ადამიანებს არანაკლებ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე ფული და სექსი.

ამერიკელმა მკვლევარებმა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია გამოიყენეს იმისთვის, რომ ტრაბახის დროს ტვინის რეაქციები შეესწავლათ. მათ ექსპერიმენტის მონაწილეებს საკუთარი თავის შესახებ რაიმე დადებითის მოყოლა სთხოვეს.

შედეგად დადგინდა, რომ ადამიანი ერთნაირ სიამოვნებას იღებს, როცა ტრაბახობს უშუალოდ მოსაუბრის წინ, ან სოციალურ ქსელებში.

ამ დროს თავის ტვინში ზუსტად იმ ნაწილის გააქტიურება ხდება, რომელიც პასუხისმგებელია სიამოვნებაზე, მაგალითად, ჭამისგან, სექსისგან, ფულისგან და ასე შემდეგ.

– სუბიექტური ფასეულობის შეგრძნება ადამიანს მართლაც წარმოუდგენელ სიამოვნებას ანიჭებს, – ასეთია კვლევის ავტორების საბოლოო დასკვნა.

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ქმრის ტელეფონში კონტაქტი ვნახე – „უფასო სექსის“ სახელით. მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გადავრეკე... როცა ჩემი ტელეფონი აწკარუნდა, კინაღამ გული გამისკდა! ეს დამპალი!!!

*****

ქუჩაში მეზობლები შეხვდნენ:

– გაუმარჯოს! რა ქენი გუშინ, როგორ გაატარე სიყვარულის დღე?

– უჰ!.. დავთვერი და შენს ცოლთან ვიწექი...

– ვაა, გაგიმართლა მაგრად – მე კი შენს ცოლთან მივედი, მაგრამ 3 საათი რიგში მომიწია დგომა...

*****

– როგორია პატიოსანი ქალი?

– პატიოსანია ქალი, როცა მხოლოდ ერთმა მამაკაცმა იცის, როგორ არაპატიოსნად შეუძლია მას მოიქცეს საწოლში...

*****

– თუკი შეფს გენიალური აზრი მოუვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი დღე ვიღაცას სისულელის კეთება მოუწევს!..

*****



რესტორანში. სტუმარი ოფიციანტს შენიშვნას აძლევს, რომ კრაბის სალათში კრაბის ნატამალი არ არის.

მცირეხნიანი ფიქრის შემდეგ, ოფიციანტი პასუხობს:

– დავიჯერო, ბერძნულ სალათში ბერძნები გინახავთ?!

*****

პატარა ნოსტრადამუსი დედას ეკითხება:

– დე, რა გვაქვს დღეს სადილად?

– ოხ, ვითომ არ იცი, შე ტუტუცო?!

*****

პატარა კოტე ვერაფრით იგებს, რას ლაპარაკობს მისი 2 წლის ძმა. მიდის დედასთან და ეკითხება:

– დედიკო, ეს ნამდვილად ქართველია?!

*****

ოლიგარქს ეკითხებიან:

– რაიმე სახის გატაცება თუ გაქვთ?

– კი – ადრე მარკებს ვაგროვებდი...

– და ახლა?

– ნუ, რადგან მარკები აღარ არის, ახლა ევროებზე გადავედი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი



ეს ხე მსოფლიოში ყველაზე მაღალია, იგი 3000 წელს და მეტსაც ცოცხლობს. გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ხეს აქვს საკუთარი სახელი და პასპორტი. მათ შორის გამორჩეულია „გენერალი შერმანი", რომელიც 3500 წლისაა

1. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
2. ტელეანძა მოსკოვში
3. რეჟისორი პედრო ...
4. მსახიობი ... კეიჯი
5. საზღვაო კურორტი ბულგარეთ.
6. „თოჯინები იცინიან". რეზიკოს როლში მერაბ ...
7. ტალღებზე ცურვა ფიცრით
8. მიმართვა ამერიკელი ქალისადმი
9. რამაზ გიორგობიანი ფილმში
10. მსახიობი სესილია ...
11. ანსამბლ „ივერიის" დამაარსებელი
12. მან შეისწავლა რეფლექსები
13. მე-17ს. ინგლისელი პოლიტიკოსი
14. მუზების მფარველი ღმერთი
15. თაღი
16. სახელმწიფო ევროპაში
17. თამაში 64უჯრიან დაფაზე
18. კომპოზიტორი რევაზ ...
19. პატარა ქვა
20. ჯუჯა კამეჩი
21. ს/ფ „ჭრიჭინა" ნამორაძის პროფესია
22. რეჟისორი ... იოსელიანი
23. ზღვაოსანი ... და გამა
24. ტორტის საცხი
25. მსახიობი ... კვერენჩხილაძე
26. სისხლნაკლებობა
27. „წყნარი დონი" მწერალი
28. ვერტიკალურად მოძრავი კაბინა
29. ესპანური ღვინო
30. პაპის რეზიდენცია რომში
31. მსახიობი ... პეჩი
32. თეატრის ყველა სპექტაკლი
33. გიორგი სააკაძე-დიდი ...
34. ქედი რუსეთში
35. ბურუსი
36. მხატვარი ანრი ტულუზ-...
37. კამეჩის ტყავის ჭურჭელი
38. ეკლიანი მცენარე
39. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
40. სპაიდერმენი: ადამიანი-...
41. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
42. პოეტი ... პეტეფი
43. გულის დაავადება
44. წმ5მის ძირის ანთება
45. კომპოზიტორი ... კარგარეთელი
46. მ/ფ „... 11 მეგობარი"
47. მწნილი
48. ... შანელი
49. მსახიობი ჯონ ...
50. შემინული მიშენება სახლზე
51. თოვლიანი ქარი
52. მევიოლინე ... ისაკაძე
53. კომპოზიტორი ... ტარივერდიევი
54. სკულპტურა, ანუ ...
55. ... შრომა, მერე ხტომა
56. ქარით ატანილი მტვერი
57. დიდი კამკამა ციური სხეული
58. ილუზიონისტი დევიდ ...
59. ომში: ... და ნაღარა
60. საზღვაო კურორტი თურქეთში
61. მწერალი ნოდარ ...
62. მუსიკ. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
63. თვალის ქვედა ნაწილი
64. მსახიობი ნიკოლ ...
65. საგაზეთო ახალი ამბავი
66. მისი დედაქალაქია ამანი
67. სიმდიდრით ცნობილი ლიდიის მეფე
68. ოპერის შესავალი ნაწილი
69. ფანჯრის დასაკიდებელი დეტალი
70. ტაფამწვარი
71. მსახიობი ჰარისონ ...
72. მსახიობი მარი ...
73. ბავშვის დასაძინებელი სიტყვა
74. მწვანე ადგილი უდაბნოში
75. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
76. იუპიტერის მეუღლე
77. კომპოზიტორი ... შოპენი
78. მწყემსის მოსასხამი
79. მსახიობი დრიუ ...
80. ... უდუმაშვილი
81. ჰავა
82. ზღვარი, ანუ ...
83. მოხდენილი ტანფეხი
84. წიწვოვანი ხის ჯიში
85. ზღაპრები „... ერთი ღამე"
86. მომღერალი ... ლავინი
87. სახელმწიფო აფრიკაში
88. ჯეიმს კამერონის ფილმი
89. „პერ გიუნტი" კომპოზიტორი
90. შტატი აშშ-ში
91. ზამთრის ხილი
92. მსახიობი ... გარდნერი
93. მოჭადრაკე ... კუშნირი
94. ხიფათი
95. ძველი ბერძენი, ანუ ...
96. რეჟისორი ... რიჩი
97. პიანისტი ელისო ...
98. მინდვრის ყვავილი
99. რეჟისორი რობერტო ...
100. ბედი
101. გრძნობის გამოხატვა
102. თამაშში: არჩევანი და ...
103. ჰუნების ბელადი
104. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
105. კამეჩის ნაშიერი
106. მხლებლები ქორწილში
107. ბერძ. ანბანის პირველი ასო
108. ზღვის კომბოსტო
109. ... და ვინჩი
110. კაშხალი ეგვიპტეში
111. ვერცხლისწყალი
112. ყურძნის ჯიში
113. რეჟისორი ... მიხალკოვი
114. პერსონა ...-გრატა
115. ცოლის მამა ქმრის-თვის
116. საიმპერო პარტია
117. ფრანგული ოქროს მონეტა
118. ცხენებშებმული ტრამვაი
119. ერთიანი ხარდში
120. ბაღაშვილების იუმორისტ. დადგმა
121. სათლი, ანუ ...
122. საიუველირო ლითონი
123. კაციჭამია, ანუ ...
124. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
125. სილა
126. პოეტი ... ფოცხიშვილი
127. ვულკანის ჯამის ფორმის ჩაღრმავება
128. ჟანკლოდ ... დამი
129. მსახიობი ... ფაროუ
130. კ. გამსახურდიას მოთხრობა
131. იაპონური თეატრი
132. პანტომიმის მსახიობი (ზოგადად)
133. ... ასე, ... ისე
134. ფიზიკოსი ... ნიუტონი
135. ნაყოფიანი ხე
136. პულსის ადგილი ხელზე
137. ოპერა „ევგენი ..."
138. მომღერალი ... ოსბორნი
139. თევზის ძვალი



ეს კუნძული განთქმულია ეგზოტიკური და ამასთან, გიგანტური მცენარეებით. ერთ-ერთი მათგანია ფოტოზე წარმოდგენილი ამორფოფალუსი, რომელიც 25-35 კილოგრამს იწონის, ფოთლის სიგრძე კი 5 მეტრს აღწევს. ყვავილი გამოსცემს ლაყე კვერცხისა და ლეშის „სასიამოვნო არომატს". რომელ კუნძულზე იზრდებიან ასეთი მცენარეები

პასუხები: 1. ბალასტი; 2. „ოსტანკინო"; 3. ალმოდოვარი; 4. ნიკოლას; 5. ვარნა; 6. თავაძე; 7. სერფინგი; 8. მემ; 9. „სერენადა"; 10. თაყაიშვილი; 11. ბასილაია; 12. პავლოვი; 13. კრომველი; 14. აპოლონი; 15. არკა; 16. დანია; 17. ჭადრაკი; 18. ლაღიძე; 19. კენჭი; 20. ანოა; 21. არქიტექტორი; 22. ოთარ; 23. ვასკო; 24. კრემი; 25. ზინაიდა; 26. ანემია; 27. შოლოხოვი; 28. ლიფტი; 29. ხერესი; 30. ვატიკანი; 31. ენ; 32. რეპერტუარი; 33. მოურავი; 34. ურალი; 35. ნისლი; 36. ლოტრეკი; 37. რუმბი; 38. კაქტუსი; 39. ლუქსემბურგი; 40. ობობა; 41. ტაიმი; 42. შანდორ; 43. მანკი; 44. ჯიბლიბო; 45. ია; 46. ოუშენის; 47. მარინადი; 48. კოკო; 49. კიუსაკი; 50. ლოჯია; 51. ქარბუქი; 52. ლიანა; 53. მიქაელ; 54. ქანდაკება; 55. ჯერ; 56. ბუქი; 57. ბოლიდი; 58. კოპერფილდი; 59. ბუკი; 60. ანტალია; 61. დუმბაძე; 62. ნოტი; 63. უპე; 64. კიდმანი; 65. ნიუსი; 66. იორდანია; 67. კრეზი; 68. უვერტიურა; 69. ანჯამა; 70. ომლეტი; 71. ფორდი; 72. დიუბუა; 73. ბუა; 74. ოაზისი; 75. იისფერი; 76. იუნონა; 77. ფრედერიკ; 78. ნაბადი; 79. ბერიმორი; 80. ზაალ; 81. კლიმატი; 82. მიჯნა; 83. ტანკერი; 84. ნაძვი; 85. ათას; 86. ავრილ; 87. სენეგალი; 88. „ავატარი"; 89. გრიგი; 90. ვირჯინია; 91. კარალიოკი; 92. ავა; 93. ალა; 94. ფათერაკი; 95. ელინი; 96. გაი; 97. ვირსალაძე; 98. ყაყაჩო; 99. როსელინი; 100. სვე; 101. ემოცია; 102. არადანი; 103. ატილა; 104. ოსირისი; 105. ზაქი; 106. მაყარი; 107. ალფა; 108. ლამინარია; 109. ლეონარდო; 110. ასუანი; 111. სინდიყი; 112. პინო; 113. ნიკიტა; 114. ნონ; 115. სიმამრი; 116. არია; 117. ეკიუ; 118. კონკა; 119. იაქე; 120. „იუმორინა"; 121. ვედრო; 122. ოქრო; 123. კანიბალი; 124. ყირიმი; 125. ქვიშა; 126. მორის; 127. კრატერი; 128. ვან; 129. მია; 130. „ლილ"; 131. ნო; 132. მიმი; 133. ან; 134. ისააკ; 135. ფშატი; 136. მაჯა; 137. ონეგინი; 138. ოზი; 139. ფხა. იკითხება: სეკვოია. სუმატრა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. აქლემების მწკრივი უდაბნოში
2. ბალეტის მოცეკვავე მიხეილ ...
3. ქვირითიდან გამოჩეკილი თევზი
4. მართკუთხედში გავლებული ხაზი
5. თოკი
6. მხ/ფ „მისის ...“
7. გალაქტიკა ანდრომედას ...
8. გეომეტრიული ფიგურა
9. რუსული ფულის ერთეული
10. პოეტი ლადო ...
11. გადამდნარი კარაქი
12. რაჯ კაპურის ფილმში
13. დაწმენდილი შაქარი
14. სპორტის სახეობა
15. უნაპირო ზღვა ატლანტის ოკეანეში
16. ... პუგაჩოვა
17. ნეტარ ... მორწმუნენი
18. მოცულობის ერთეული აშშ-ში
19. ჰარი პოტერის ავტორი
20. რომის იმპერატორი
21. ბრძენი ქალი რუსულ ზღაპრებში
22. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
23. ხმა გურულ სიმღერაში
24. მსხვილი მახრჩობელა გველი მადაგასკარზე
25. ცომის ამოსაყვანი ფხვნილი
26. ორსახა ღმერთი
27. სახელმწიფო აფრიკაში
28. ჭადრაკის ფიგურა
29. გვადი ბიგვას ბიჭი
30. მკურნალობა ნემსის ჩხვლეტით
31. ტრაგედიის მუზა
32. სასოფლო-სამეურნ. იარაღი
33. ანტიკური ქალაქი-სახელმწიფო ჩრდ. აფრიკის სანაპიროზე
34. ტბა დუშეთის რაიონში
35. „12სკამი“ ... ბენდერი
36. ის, ვინც კერძებს ამზადებს
37. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
38. ინდური კაბა
39. ნისნავს სწავლებას
40. აქ დარბიან ცხენები
41. მწერალი ... დე ბალზაკი
42. ჭადრაკის ფიგურა
43. „მატრიცა“ წინასწარმეტყველი
44. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად“
45. „მაუგლი“ პითონი
46. სომხეთის ძველი დედაქალაქი
47. უეცარი შიში
48. ირლანდიის დედაქალაქი
49. დიზაინერი კრისტიან ...
50. დიდი ნემსი
51. სპილენძის დოქი
52. ძიძა
53. ქრისტიანთა წმინდა თასი
54. სასწორის ჯამი
55. ვულკანი სიცილიაზე
56. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
57. ... მოგივა დავითაო
58. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება
59. მყარი წიაღისეული
60. შავი ფისი
61. მხ/ფ „... არდადეგები“
62. ცივი იარაღი
63. გადაშენებული ფრინველი
64. კარგი ამინდი
65. ხელფასის ნაწილი
66. კუთხეში გავლებული ხაზი
67. მწერალი სომერსეტ ...
68. ჩრდ. კანადის მკვიდრი მოსახლე
69. ავსტრიის დედაქალაქი
70. სტადიონი ერევანში
71. ტკბილი ნივთიერება
72. ბაბილონის დედოფალი
73. არამუსლიმანური სამარხი
74. სახელმწიფო დაფინანსება
75. თაგუნია ... მაუსი
76. კურკიანი ხილის ჩირი
77. ღომში ჩაზელილი სულგუნი
78. ... შეჯდა მწყერი ხესა
79. ჩილეში: ავგუსტო ...
80. მსახიობი სტივ ...
81. ყვავილი
82. პარკოსანი მცენარე
83. სატირიკოსი მწერალი მიხეილ ...-შჩედრინი
84. ხის ჯიში
85. 100სმ
86. ადგილი თვალის ქვეშ
87. ბოჭკოვანი მცენარე
88. ფრანგი კომედიოგრაფი
89. რაიონი აჭარაში
90. ბელგიის დედაქალაქი
91. განმუხტვა ღრუბლებში
92. თბილისის უბანი
93. იაპონური ჭიდაობა
94. სამშენებლო მასალა
95. ძაღლის ჯიში
96. ერთ-ერთი თითი
97. ქართ. საესტრადო ანსამბლი
98. მიანმის ძველი სახელწ.
99. რძის პროდუქტი
100. ზანდუკი
101. ციხე-სიმაგრე პარიზში
102. აქრიტექტურული სტილი
103. სოფელი რაჭაში
104. იტალიური ღვეზელი
105. საწვავი აირი ბალონში
106. მშობიარობის დამხმარე
107. ბიბლიური მთა
108. მონღოლური ფულის ერთეული
109. მხ/ფ „... პრინცესა“
110. სოფოკლეს ტრაგედია
111. ოთხიანი ნარდში
112. ძვ. თბილისური მიმართვა
113. იაპონური თეატრი
114. მოთიბული გამხმარი ბალახი
115. მეთილის, ანუ ... სპირტი
116. მსახ. ... ფრეინდლიხი
117. რეპტილია
118. თვლემა, ანუ ...
119. ქალაქი აფხაზეთში
120. პასტერნაკი. „ექიმი ...“
121. საწვრთნელი ბრძოლა კრივში
122. ჰომეროს სიმფსონის ვაჟი ... სიმფსონი (მულტფილმიდან)
123. მზის ღმერთი ეგვიპტეში
124. ადამიანების ერთობა, სიმრავლე
125. ყვავის ბარტყი
126. მსახ. ... სარაჯიშვილი
127. გამადიდებელი მინა
128. მაგიდის მოძრევი ნაწილი
129. გემოვნების ორგანო
130. მიწის ფართობის ერთეული
131. უშნო, შეუხედავი
132. ბრინჯაო
133. მსახიობი ... ნოლტი
134. მხედველობა
135. ყვავილი
136. მსახიობი ... პაჩინო
137. შიიზმის მიმდევარი
138. რეჟისორი დევიდ ...
139. წყლის მოლუსკი
140. ორიანი ნარდში
141. ქართ. ანბანის ბოლო ასო
142. მსახიობი ... ჰეჩი

პასუხები: 1. ქარავანი; 2. ბარიშნიკოვი; 3. ლიფსიტა; 4. დიაგონალი; 5. ბაწარი; 6. დაუტფაიერი; 7. ნისლეული; 8. წრე; 9. რუბლი; 10. ასათიანი; 11. ერბო; 12. „ავარა“; 13. რაფინადი; 14. რაგბი; 15. სარგასო; 16. ალა; 17. არიან; 18. ბარელი; 19. როულინგი; 20. ნერონი; 21. ვასილისა; 22. ასო; 23. კრიმანჭული; 24. ბოა; 25. საფუარი; 26. იანუსი; 27. უგანდა; 28. ლაზიერი; 29. ჭირიმია; 30. აკუპუნქტურა; 31. მელპომენე; 32. თოხი; 33. კართაგენი; 34. ბაზალეთი; 35. ოსტაპ; 36. მზარეული; 37. როკ; 38. სარი; 39. ლოგია; 40. იპოდრომი; 41. ონორე; 42. პაიკი; 43. პითია; 44. რაიანის; 45. კაა; 46. ანისი; 47. ელდა; 48. დუბლინი; 49. დიორი; 50. მახათი; 51. თუნგი; 52. გადია; 53. გრაალი; 54. პინა; 55. ეტნა; 56. ნიკარაგუა; 57. რაც; 58. უნივერსიტეტი; 59. ქვანახშირი; 60. კუპრი; 61. რომაული; 62. ხმალი; 63. მოა; 64. დარი; 65. ავანსი; 66. ბისექტრისა; 67. მოემი; 68. ესკიმოსი; 69. ვენა; 70. რაზდანი; 71. შაქარი; 72. სემირამიდა; 73. ნაუსი; 74. დოტაცია; 75. მიკი; 76. კერკი; 77. ელარჯი; 78. არა; 79. პინოჩეტი; 80. მარტინი; 81. იასამანი; 82. ოსპი; 83. სალტიკოვ; 84. მუხა; 85. მეტრი; 86. უპე; 87. სელი; 88. მოლიერი; 89. ხელვაჩაური; 90. ბრიუსელი; 91. ელვა; 92. აბანოთუბანი; 93. სუმო; 94. გაჯი; 95. სპანიელი; 96. ნეკი; 97. „ივერია“; 98. ბირმა; 99. არაჟანი; 100. სკივრი; 101. ბასტილია; 102. როკოკო; 103. ირი; 104. პიცა; 105. პროპანი; 106. მეანი; 107. არარატი; 108. ტუგრიკი; 109. ცირკის; 110. „ანტიგონე“; 111. ჩარი; 112. ტო; 113. ნო; 114. თივა; 115. ხის; 116. ალისა; 117. კუ; 118. რული; 119. გაგრა; 120. ჟივაგო; 121. სპარინგი; 122. ბარტ; 123. რა; 124. ხალხი; 125. ბახალა; 126. ნანული; 127. ლუპა; 128. უჯრა; 129. ენა; 130. აკრი; 131. გონჯი; 132. რვალი; 133. ნიკ; 134. ჩინი; 135. ია; 136. ალ; 137. შიიტი; 138. ლინჩი; 139. მიდია; 140. დუ; 141. ჰაე; 142. ენ. იკითხება: ვაშლი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ქერა ქალებს გადაშენების საფრთხე ემუქრებათ?!



ფრიად სამწუხარო დასკვნა გამოიტანეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტებმა, რომელთა გათვლების თანახმად, დაახლოებით 200 წლის შემდეგ, ჩვენს პლანეტაზე ქერა ქალები აღარ დაიბადებიან.

მეცნიერების ჰიპოთეზას თუ დავუჯერებთ, ნატურალური ქერები მხოლოდ ფინეთშილა დაიბადებიან, თუმცა მათი პოპულაციაც ძალიან მცირე იქნება.

საქმე ის ყოფილა, რომ გენი, რომელიც ღია ფერის თმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რეცესიული გენების რიგებს მიეკუთვნება და ძალიან ადვილად ექცევა დომინანტი მუქი ფერების გავლენის ქვეშ.

– იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის ზრდის მიხედვით აზიური ქვეყნები გამოირჩევიან, ნატურალური ქერების დღეები დათვლილია, – მიიჩნევენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტები.

ის, ვინც ქერა ქალებით უფრო იხიბლება, ვიდრე შავგვრემნებით, შეუძლია, არ ინერვიულოს, რადგან თმის საღებავებს გადაშენება ნამდვილად არ ემუქრება.

უი, მაინცდამაინც ნატურალური გირჩევნიათ? მაშინ დროზე იმოქმედეთ, დაახლოებით 200 წელი თქვენს განკარგულებაშია და წესით, უნდა მოასწროთ...

***mir24.tv***

## დათრობა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ცოლის თანხმობით



როცა სიტყვების მარაგი გამოელიათ და ეფექტურად წყევლა ველარ გამოსდიოდათ, ინდური ბიჰარის შტატის სუსტი სქესის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ქმრების ლოთობასთან ბრძოლა ოფიციალურ დონეზე წარემართათ და მიმართეს კიდეც ადგილობრივ ხელისუფლებას.

არ გაინტერესებთ, რა ზომები მიიღეს ინდუსმა ჩინოვნიკებმა?

ცოლების წუწუნისგან შეწუხებულებმა გამოსცეს ახალი კანონი, რომლის ძალითაც, ნებისმიერ მამაკაცს, რომელსაც მეუღლე ეყოლება, მაგრამ ალკოჰოლის მოხმარებაზე უარს არ იტყვის, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება!

ჰოდა, სიხარულისგან ცას ეწივნენ ინდოელი ცოლები, ქმრები კი წაქცეული ბუღებივით იბღვირებიან და მატრაკვეცა მეუღლეები ოთხში ჰყავთ ამოღებული.

ისე, ერთი შეღავათი მაინც გაუთვალისწინებიათ, ბიჰარელ ჩინოვნიკებს – ქმრებს ალკოჰოლის მიღება ცოლის ოფიციალური (ალბათ, წერილობითი) თანხმობის საფუძველზე შეეძლებათ.

– ეს არის რევოლუციური გადაწყვეტილება. ქალებს უნდა შეეძლოთ თავის დაცვა და მივესალმებით შტატის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, – ასეთი სამადლობელი წერილი გაუშანშალებიათ ინდუს ფემინისტებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, ქმრებისგან გვარიანი პრობლემები უნდა ელოდეთ...

***newsru.co.il***

## გერმანელ მოხუცს ლატარიაში მოგებული თანხის აღება პოლიციამ აიძულა



როგორც ჩანს, იმდენად მომრავლდა თაღლითური ზარები – გილოცავთ, თქვენ ლატარიაში სოლიდური თანხა მოიგეთო, რომ, მაგალითად, გერმანიის ქალაქ გერას მკვიდრი მოხუცი დიასახლისი ამ სასიამოვნო სიახლეს ვერაფრით იჯერებდა.

თურმე, მარტოხელა პენსიონერს ლატარიის ორგანიზატორებმა დაახლოებით 30-ჯერ დაურეკეს და აცნობეს, 98 ათასი ევრო მოიგეთ, მობრძანდით, რათა კუთვნილი თანხა გადმოგცეთო, თუმცა მისი დარწმუნება ვერაფრით მოხერხდა და საქმეში უკვე სამართალდამცველების ჩართვა გახდა საჭირო – პოლიციელები მოგებულს სახლში მიადგნენ და აიძულეს, რომ მოგების ასაღებად წასულიყო.

– მას ეგონა, რომ ვილაც მოტყუებას უპირებდა და გულის ტკენისგან თავის დასაღწევად მოგებაზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდა, მაგრამ, როდესაც დავარწმუნეთ თავის იღბლიანობაში, თანხის ასაღებად წასვლაც გადაწყვიტა, – განმარტავენ გერმანელი პოლიციელები.

***top.rbc.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 დეკემბერი:** არ გაგიკვირდეთ, თუკი აუხდენელი ოცნებები აგისრულდებათ. მთავარია, გაუაზრებელი ნაბიჯები არ გადადგათ.

**კურო 22.04-21.05**
**16 დეკემბერი:** რა მიზანიც არ უნდა გამოძრავებდეთ, არაფერი გამოგივათ. სამაგიეროდ, არაერთ ისეთ შედეგს მიიღებთ, რომლებიც მომავალში წარმატებას მოგიტანთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 დეკემბერი:** დიდი ალბათობით, დღეს არაერთი პერსპექტივა გამოგიჩნდებათ. მათგან ერთი უნდა აირჩიოთ, ყველაფერს ვერ გასწვდებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 დეკემბერი:** შეეცადეთ, დღეს ოჯახის წევრებს მაქსიმალური ყურადღება დაუთმოთ. საქმეებს მერეც მიხედავთ.

**ლომი 23.07-22.08**
**16 დეკემბერი:** დღეს იმის დანახვას შეძლებთ, რასაც სხვები ვერც კი შეამჩნევენ. ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც გარშემომყოფებს უსიამოვნებას მოუტანს.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 დეკემბერი:** საკუთარ გრძნობებს ჩაუღრმავდით, შესაძლოა, ის, რაც ასე გაწუხებთ, სადარდებელი სულაც არ არის.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 დეკემბერი:** სხვის შეცდომაზე პასუხისმგებლობა არ აიღოთ, რადგან უფრო მკაცრად მოგკითხავენ, ვიდრე რეალურ დამნაშავეს.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 დეკემბერი:** დღეს შეიძლება ძველმოდური იყოთ, რაც განუმეორებელ მომხიბვლელობას შეგძენთ და უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას გაგიადვილებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 დეკემბერი:** უახლოესი დღეების გეგმებს გადახედეთ, მათში შეიძლება აღმოაჩინოთ შეცდომა, რომელიც სასწრაფოდ გამოსასწორებელია. სხვათა ქმედებებზე პასუხისმგებლობა არ აიღოთ, თუნდაც ამ ადამიანს ბოლომდე ენდობოდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 დეკემბერი:** თქვენი არაკეთილმოსურნე ადამიანები რაღაცით იქნებიან დაკავებული და არ შეგაწუხებენ, რაც თავისუფლად მოქმედების საშუალებას მოგცემთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენი დიდი მეგობარი გახდება. თუ ასეთი პერსპექტივა არ გხიბლავთ, სახლიდან არ გახვიდეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**16 დეკემბერი:** დღეს იმდენად დიდი რესურსი გექნებათ, საფიქრალი გაგიხდებათ, რაში დახარჯოთ. დროზე მოიფიქრეთ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

## ენერგეტიკული სასმელი სარისკო ნაბიჯების გადადგმის პროვოცირებას ახდენსო



ალბათ, რამდენჯერ ყოფილა, რომ გადატვირთული სამუშაო გრაფიკისგან ძალაგამოცლილებს ჯადოსნური სასმელი გინატრიათ, რომელიც კვლავ გააქტიურებდათ და გაგახალისებდათ, არა?

ჰოდა, ხომ გვთავაზობს სხვადასხვა კომპანია ნაირ-ნაირ ენერგეტიკულ სასმელს, თქვენც მიირთვით და დაიბრუნეთ ჯანღონე...

თუმცა, მოდით, ჯერ ბოლომდე მოგვიყევით და დასკვნა მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთეთ, შევთანხმდით?

ბუფალოს უნივერსიტეტის ამერიკელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ენერგეტიკული სასმელები, რომლებსაც, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ სერიოზული რეკლამირება უკეთდებათ, ადამიანებს ფრიად სარისკო ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს.

კერძოდ, ახალგაზრდები, რომლებიც ამ უალკოჰოლო სასმელს ძალიან ხშირად სვამენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილები, მაგალითად, სიგარეტის მოწევისკენ, ალკოჰოლის გამოყენებისკენ, ჩხუბისკენ და ასე შემდეგ.

ასეთი დასკვნა ამერიკელებმა 800 სტუდენტის გამოკითხვის შედეგად მიიღეს, რომლებმაც განმარტეს, რომ ენერგეტიკულ სასმელებს თვეში მინიმუმ ექვსჯერ მაინც სვამენ.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა ისიც, რომ ენერგეტიკული სასმელების მოყვარულები უფრო ხშირად ამბობენ უარს უსაფრთხოების ღვედზე, უსაფრთხო სექსზე და არჩევანს სპორტის ექსტრემალურ სახეობებზე აკეთებენ.

მეცნიერების აზრით, ასეთი ცვლილების მიზეზი დიდი რაოდენობით კოფეინი და ტაურუნია, ზუსტად ის ნივთიერებები, რომლებსაც ენერგეტიკულ სასმელებში აუცილებლად შეხვდებით და რომლებიც ადამიანის უკიდურეს გააქტიურებას უწყობენ ხელს.

***myjane.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ძმაკაცები მანქანით მარიხუანის საყიდლად წავიდნენ. უკან გზაზე ვერ მოითმინეს, მანქანაშივე „ააფეთქეს“ და მერელა გაახსენდათ, რომ საგზაო პოლიციის პოსტი უნდა გაევლოთ. სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ მანქანაში ექვსი ახალგაზრდა იჯდა, ექვსივე საშინლად „დაბოლილი“ და თან მარიხუანაც იმდენი ჰქონდათ ნაყიდი, მინიმუმ 10-10-წლიანი პატიმრობა ჯიბეში ედოთ. ჰოდა, გადაწყვიტეს, პოსტთან გავლისას რომელიმე თავს დახრიდა და დაიმალებოდა...

პრინციპში, ნარკომანების ისტორია აქ მთავრდება, მაგრამ არის მეორე ისტორიაც – საგზაო პოლიციელის:

დგას პოსტზე პოლიციელი, საზიზღარი ამინდია, გაყინულია, ფული არ აქვს, განერვიულებულია, წინ კი გაუარა მანქანამ, რომელშიც არავინ იჯდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ზესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20